საქართველოს პარლამენტი ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 35 (279) შაბათი, 20 თებერვალი, 1993 წელი ფასი 5 მანეთი.

წუხელ შეიტყვეთ

სანიტარიული კორდონი მდინარე ფსოუზე

როგორც საქინფორმის კორესპონდენტს აცნობეს სოხუმის საინფორმაციო-ანალიტიკურ ცენტრ „აისში", 18 თებერვალს ცენტრის თანამშრომლები ტელეფონით დაუკავშირდნენ ქალაქ სოჭის ადმინისტრაციის მეთაურის თანაშემწეს იგორ სიზოვს და დაინტერესდნენ თუ რით არის გამოწვეული ის, რომ რუსეთ-საქართველოს საზღვარზე მდინარე ფსოუსთან შეიქმნა სანიტარიული კორდონი და გამკაცრებულია გაშვების რეჟიმი.

იგორ სიზოვმა განაცხადა, რომ მდინარე ფსოუსთან მიმდინარე პროცესები გამომდინარეობს „ბელოვეჟის ტყეში" მიღწეული მორიგებებიდან. უკანასკნელ ხანს გახშირდა რუსეთიდან კვების პროდუქტების გატანის შემთხვევები, რუსეთში კი შეაქვთ სხვადასხვა საყოფაცხოვრებო საქონელი.

ამავე დროს, „აისი" ვარაუდობს, რომ საქმე, როგორც ჩანს, ეხება ქალაქ გაგრის ზონასა და გუდაუთის რაიონში ნაძარცვ ქონებას, რომელიც იქიდან გააქვთ რუსეთში.

ცენტრის თანამშრომლებთან საუბარში იგორ სიზოვმა თქვა, რომ იგი შეხვდა ქალაქ ადლერის ადმინისტრაციის მეთაურსა და აფხაზთა მხარის წარმომადგენლებს. მიღწეულია მორიგება საზღვარზე კონტროლის გამკაცრებისა და იმის შესახებ, რომ გუდაუთის მხრიდან ამიერიდან გაუშვებენ მხოლოდ იმ პირებს, რომლებსაც აქვთ მხოლოდ გუდაუთის სამხედრო კომისარიატის აღნიშვნა.

გოჩა აბლოთია.

●

ცნობები აფხაზეთიდან

აფხაზეთის მინისტრთა საბჭოში გაიმართა თათბირი, რომელშიც მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის წევრებსა და მინისტრებთან ერთად მონაწილეობდნენ ავტონომიური რესპუბლიკის მთელი რიგი უწყებების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები.

განიხილეს პრობლემები, რომლებიც გაჩნდა ბაბუშერას აეროპორტის მიმართულებით ელექტროგადამცემი ხაზის აღდგენითი სამუშაოების დროს, წამოიჭრა ისეთი საკითხები, როგორიცაა საბინაო ფონდის სარემონტო-აღსადგენი სამუშაოების განხორციელებისათვის საჭირო მასალების შესაძენად ფინანსების ნაკლებობა, კომუნალური მეურნეობის ობიექტების წესრიგში მოყვანა და სხვა საკითხები.

სხდომის მონაწილეებმა დაავალეს აფხაზეთის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, ქალაქ სოხუმის მერიასა და საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს წარმოადგინონ კონკრეტული წინადადებანი პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელებისა და ეპიდემიების თავიდან აცილების თაობაზე.

სოხუმის მერიასა და რაიონულ გამგეობებს აფხაზეთის სამართალდამცველ ორგანოებთან ერთად დაევალათ ათი დღის ვადაში შეიმუშაონ ავტონომიური რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში ბინებისა და საცხოვრებელი სახლების თვითნებურად დაკავების თავიდან აცილების მექანიზმი.

ვლადიმერ მაქაცარია

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის" და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი მოვლენა კომენტარი

სურათი ომიდან

მზვერავები

სოხუმთან ბრძოლებში თავი გამოიჩინეს 23-ე მექანიზებული ბრიგადის მზვერავებმა. ჯგუფის უფროსმა გოჩა შევარდნაძემ თქვა:

— სანაქებო ბიჭები შეიკრიბნენ! მამაცები არიან, თავგზა არ ებნევათ ყველაზე კრიტიკულ სიტუაციებში. იციან მომენტის დაჭერა, ადგილის გამონახვა მოწინააღმდეგის სათვალთვალოდ, ერთი სიტყვით, სწორედ ასეთებთან ღირს დაზვერვაში წასვლა!

სურათზე: მზვერავები გუმისთასთან ბრძოლების სამახსოვროდ ფოტოს იღებენ.

ბორის ალექსანდრიას ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

აქტუალური ინტერვიუ

ცოდვა და მადლი

ჩვენი კორესპონდენტი ესაუბრება საქართველოს პარლამენტის სპიკერს ვახტანგ გოგუაძეს

— ბატონო ვახტანგ, თქვენ, როგორც ჰუმანისტი, ქრისტიანი კაცი, როგორ უყურებთ სიკვდილით დასჯის კანონს?

— ერთდროულად თქვენს პატარა კითხვაში რამდენიმე კითხვა გამოიჭრება, თითო ტომი რომ არ იკმარებს პასუხის გასაცემად. დავიწყოთ „ქრისტიანი კაცით". საკმაოდ არაზუსტად გვესმის ქრისტესმიერი მიმტევებლობა. მეორე საუკუნის დიდი თეოლოგი წმინდა ირინეი წერდა: „უგნურნი არიან ისინი, რომელნიც აზვიადებენ ქრისტეს გულმოწყალებას და სდუმან განკითხვაზე". მართლაც-და ხომ ყველას პირზე აკერია დღეს აპოკალიფსი. განსაკუთრებით ამ უკანასკნელს მივაქციოთ ყურადღება. უზენაესი სასამართლო (სამსჯავრო) კაცობრიობისა, ქრისტესმიერი სასამართლო გახლავთ. კაცობრიობის დიდი ნაწილი ილუპება ცეცხლით, მიწისძვრებით, ინგრევა მთები. მძიმე სურათებია ბიბლიაში. რატომ? იმიტომ რომ კაცობრიობამ გადაუხვია ღმერთის გზას, ასე რომ, ღმერთი სიკვდილით სჯის კაცობრიობის დიდ ნაწილს. დიახ, დიახ, ქრისტესმიერი სასჯელი გახლავთ უზენაესისა. ისინი, ვინც მალიმალ იწერენ პირჯვარს, გვაკვირვებენ „სახარების", ან „ძველი აღთქმის" წიგნების ცოდნით, გვაკვირვებენ მაღალი სათნოების აზრის ციტატებით, მაგრამ გულით სცოდავენ, ამბობენ ერთს, აკეთებენ ან ფიქრობენ მეორეს, ეს უფრო აგულისებს ქრისტეს, ვიდრე გულახდილი ათეისტი. გახსოვთ, რა მწარედ უყურებს მწიგნობართ?

— რატომ? მწიგნობარნი ხომ განათლებულნი, წიგნიერნი გახლდათ და არც ათეისტები იყვნენ, მათაც ხომ სწამდათ ღმერთი?

— ყოველ შემთხვევაში, იჩემებდნენ ღმერთის რწმენას. მაგრამ ქრისტე არ თვლის რწმენად იმ რწმენას, რომელსაც სიყვარული და პირადული მიტევება არ შეუძლია.

— უკაცრავად, ბატონო ვახტანგ, წინააღმდეგობაში ხომ არ ვარდებით, ახლა როცა ქრისტესმიერ მიტევებაზე ლაპარაკობთ?

— ქრისტემ გვითხრა, რომ უნდა მიუტევო შენს მტერს და არა სხვის მტერს, არავითარ შემთხვევაში სულიწმინდის მტერს. ჩვენ მზად ვართ მივუტევოთ სხვის მტერს, სხვის მკვლელს, მაგრამ არა ჩვენს მკვლელს. აი — აქ არის უზარმაზარი ზერელობა, ეს რომ გვგონია ჰუმანიზმი.

— მაინც, როგორ უნდა აიხსნას ეს რელიგიური აზრით?

— მოკლულის სული ჩვენთვის რეალობა არ არის, ის აღარ არსებობს. ეს არის ჩვენი ღარიბი რწმენის ბრალი. ნამდვილი მორწმუნისათვის მოკლული გარდაცვლილია და არა არარაობა. ცხონება, მარადიულ სასუფეველში სულის დამკვიდრება ჭეშმარიტებაა ჭეშმარიტი მორწმუნისათვის. ჩვენ ამ დონეზე ვერ ავდივართ, მცირედმორწმუნენი. ამიტომაც ჩვენ გვებრალება მოკლული, მაგრამ ისე ვერა, როგორც „ქრისტიან კაცს". ერთი იმ მოკლულის სულს ჰკითხეთ, ის თუ მიუტევებს, მე რატომ ან რა უფლებით უნდა მივუტევო.

— უკაცრავად, ბატონო ვახტანგ, ჩვენ ახლა ძალიან შორს წავედით, იქნებ ჩამოვიდეთ მიწაზე და გვითხრათ, რით აიხსნება ასეთი დამოკიდებულება თვითონ სამართლისადმი?

— ჩვენ არ გვქონდა დამოუკიდებელი სახელმწიფო. ჩვენ არ ვქმნიდით ჩვენს კანონებს. კანონებს გვიწესებდა იმპერია, დამპყრობელი და ამიტომ სიამოვნებით ვარღვევდით მას. სხვის მიერ დაწესებული კანონები გვძულდა. ახლა დავამსხვრიეთ სხვისი კანონების პოლიტიკური საფუძვლები, მაგრამ სიძულვილი და ნაწილობრივ კანონებიც შემორჩა. ამიტომაც არ გვიყვარს არც სასამართლო, არც პროკურატურა. ჩვენ მასში უსამართლობას ვხედავთ, ვიცავთ დამნაშავეს და არა დაზარალებულს.

— თქვენი აზრით, შეიძლება მღვდელმა ხელი მოაწეროს მკვლელის სიკვდილით დასჯას, ან სიკვდილით დასჯის კანონს?

— არავითარ შემთხვევაში. მღვდელს ამ ცოდვილ სამყაროსთან საქმე არა აქვს.

— როგორ ფიქრობთ, ნანატრი დამოუკიდებელი სახელმწიფო ცოდვილია?

— ჯერ არ არსებულა უცოდველი, ღვთაებრივი სახელმწიფო. სახელმწიფო ძალას ემყარება და რაოდენ მაღალდემოკრატიულ, ჰუმანისტურ იდეალებს არ უნდა უახლოვდებოდეს იგი, მას ჯერ-ჯერობით ყველგან ხელში უჭირავს თოფი. თოფმა კი შეიძლება კაცი მოკლას, აუცილებლობის შემთხვევაში ასეც იზამს. რომელ ქვეყანაში არა აქვს პოლიციას იარაღი.

— კი, მაგრამ, ხომ არის მაღალგანვითარებული ქვეყნები, სიკვდილით დასჯის კანონი რომ არა აქვთ. ეს კანონი ხომ არაცივილიზებულია.

— სიკვდილით დასჯა გაუქმებულია ამერიკის შეერთებული შტატების ზოგიერთ შტატში, ზოგან ახლახან აღადგინეს. არ არის სკანდინავიის ქვეყნებში, ინგლისში, იტალიაში.

— სიკვდილით დასჯის ნაცვლად ხომ შეიძლება სამუდამო პატიმრობა იყოს?

— სამუდამო პატიმრობის შიში შეიძლება ჰქონდეს იმ სახელმწიფოს მოქალაქეს, რომელსაც რამდენიმე თაობის პერიოდის მდგრადი სახელმწიფო აქვს. იმ ქვეყნებს, სადაც ნაირ-ნაირი მთავრობები უმემკვიდრეოდ ცვლიან ერთმანეთს, მოქალაქისათვის ეს კანონი მოქმედების განმაპირობებელი არ არის. დავუშვათ და ჩვენში მიუსაჯეთ ვინმეს სამუდამო პატიმრობა, სიცილად არ ეყოფა. ბოლოს და ბოლოს ბიძამისი შეაცვლევინებს კანონს, ან გამოსცემს ამნისტიას მის შესაცვლელად, ან მთავრობას დაამხობს ვინმე და სამუდამო პატიმრობაში მყოფი სამუდამოდ გამოვა ციხიდან. ეს ვარიანტები ფსიქოლოგიურად ძევს ყოველი არასახელმწიფოებრივი ტრადიციის ქვეყნის მოქალაქის ძვალსა და რბილში. სხვათა შორის, მე მაგონდება სტეფან ცვაიგის ერთი მოთხრობა „ვირატას ოთხი მცნება" (ინდურ თქმულებაზე აგებული). ერთი მკვლელი, ჯურღმულში ჩაგდებული სამუდამო პატიმრობამისჯილი, ისე იტანჯება, რომ თქმულება კითხვას სვამს, იქნებ მოკლულის ტრაგედიას ამ მკვლელის სასჯელი აღემატება. კაცს არ ძალუძს ასწონოს კაცის ცოდვაო.

მოსამართლე, რომელიც მკვლელს, საზარელსა და სასტიკს მიუსჯის სიკვდილით დასჯას, სცოდავს. არ მიუსჯის და უფრორე სცოდავს. ასევეა პარლამენტარები. ამ კანონს მიიღებს, სცოდავს, არ მიიღებს — სცოდავს.

— მაშინ რა ჰქნას პარლამენტარმა?

— თუ პარლამენტარი არ არის კარგად გაცნობიერებული თავის სახელმწიფოებრივ მისიაში, უნდა დაჯდეს სახლში. მას თავიდან უნდა სცოდნოდა და განრიდებოდა ამ ცოდვის სადგურს, შესდგომოდა წმინდა ბერობას. ჩვენი მისიის ასეთნაირი შეუსაბამობით ჩვენ შეიძლება უბედურება მოვუტანოთ ჩვენს ქვეყანას, არათუ ვერ ავაშენებთ სახელმწიფოს. რაც გვაქვს, შესაძლოა ისიც დავავერანოთ. თოფით ხელში უნდა შევძლოთ შენი მოქალაქის დაცვა. ჩვენ კი ჩვენი უადგილო ჰუმანიზმით ვხოცავთ იმ ადამიანებს, ვინც ქვეყნის შენებისა და სიკეთისათვისაა გაჩენილი.

— მაინც რას გულისხმობთ ამ სასტიკ განცხადებაში?

— არაერთი შემთხვევაა ჩვენში, სიკვდილმისჯილს რომ ვუწყალობეთ სიცოცხლე. ის გამოვიდა და კვლავ მოკლა ადამიანი, გააგრძელა თავისი ხელობა. არ ჩავდგით ფეხი მძიმე ცოდვაში?

— მერე-და, ვისი ბრალია ეს?

— ეს არის ყველა ჩვენგანის ბრალი, მეტად თუ ნაკლებად განაწილებული ყველასა ჩვენზე! ჩვენი განათლების ზერელობის, ჩვენი სახელმწიფოებრივ ზერელობისა და თვალთმაქცობის (ღმერთის მოტყუება შეუძლებელია!).

(დასასრული მე-2 გვ.).

ნომერში

- ⊙ პოლიტიკური დალტონიზმით სნეულთა თვალის ასახელად. 3
- ⊙ როგორ „ზრუნავს" ჩვენზე ნავთობკონცერნის ხელმძღვანელობა. 4

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში

სამკურნალწამლო საშუალებების ვაჭრობის დროებითი წესის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი აღნიშნავს, რომ ბოლო პერიოდში საქართველოს რესპუბლიკაში სამკურნალწამლო საშუალებათა მწვავე დეფიციტმა განაპირობა კერძო აფთიაქებისა და საფთიაქო მაღაზიების ფართო ქსელის შექმნა. ამასთან ამ დაწესებულებათა უმრავლესობა ფუნქციონირებს არსებული წესების უხეში დარღვევებით, რაც გამოიხატება მოსახლეობისაგან წამლების შესყიდვის ფაქტებით, წამლების შენახვისა და რეალიზაციის დაშვებული წესების და სანიტარიული ნორმების უგულებელყოფით. ყოველივე ეს საფრთხეს უქმნის პაციენტთა ჯანმრთელობას და იწვევს მოსახლეობის სამართლიან გულისწყრომას.

რესპუბლიკაში ჯანმრთელობის დაცვის კანონის მიღებამდე, სამკურნალწამლო საშუალებების ვაჭრობის რეგულირების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი **ადგენს:**

1. ცნობად იქნეს მიღებული, რომ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ნებადართულია დადგენილი წესით რეგისტრირებული აფთიაქებისა და საფთიაქო მაღაზიების თავისუფალი ფუნქციონირება განურჩევლად მათი უწყებრივი დაქვემდებარების და საკუთრების ფორმისა.

2. ყველა სახის სამკურნალწამლო საშუალებების რეალიზაცია მოსახლეობაზე მოხდება მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული ლიცენზიის მქონე აფთიაქებიდან და საფთიაქო მაღაზიებიდან.

3. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე კერძო ტიპის აფთიაქები და საფთიაქო მაღაზიები რეგისტრაციაში ტარდება არსებული წესით, ხოლო მისი ფუნქციონირება დაიწყება მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული ლიცენზიის მიღების შემდეგ.

4. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ აფთიაქებსა და საფთიაქო მაღაზიებს, განურჩევლად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა და საკუთრების ფორმისა უფლება აქვთ ივაჭრონ მხოლოდ შესაბამისი სერტიფიკატის მქონე სამკურნალწამლო საშუალებებით, რომელთა გამოყენება ნებადართულია საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან არსებული ფარმაკოლოგიური კომიტეტის მიერ.

აღნიშნულ ფარმაცევტულ დაწესებულებებში შეტანილი სამკურნალწამლო საშუალებები ექვემდებარება ხარისხის კონტროლს, რომელიც ხორციელდება საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს საკონტროლო-საანალიზო სამსახურის მიერ.

5. კერძო ტიპის აფთიაქებისა და საფთიაქო მაღაზიების სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიურ მდგომარეობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აკონტროლებს საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სამსახური.

6. ნებისმიერი ტიპის აფთიაქსა და საფთიაქო მაღაზიაზე, მიუხედავად უწყებრივი დაქვემდებარებისა და საკუთრების ფორმისა, ვრცელდება საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ დადგენილი სამკურნალწამლო საშუალებათა რეცეპტით და ურეცეპტოდ გაცემის წესი.

7. კერძო ტიპის აფთიაქებს და საფთიაქო მაღაზიებს კატეგორიულად ეკრძალებათ მოსახლეობისაგან სამკურნალწამლო საშუალებების შესყიდვა.

8. კერძო ტიპის აფთიაქებსა და საფთიაქო მაღაზიებში სამკურნალწამლო საშუალებების მიღებაზე, შენახვაზე, დამზადებაზე, კონტროლსა და გაცემაზე დასაქმებული და პასუხისმგებელი უნდა იყვნენ მხოლოდ უმაღლესი ან საშუალო სპეციალური ფარმაცევტული განათლების მქონე პირები.

9. საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ:

— ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს და დაამტკიცოს აფთიაქებისა და საფთიაქო მაღაზიების კერძო ტიპის აფთიაქებისა და საფთიაქო მაღაზიების საშუალებით სამკურნალწამლო საშუალებათა რეალიზაციის ლიცენზირების წესი;

— უზრუნველყოს სამინისტროსთან არსებული ფარმაკოლოგიური კომიტეტის მიერ პერიოდული საინფორმაციო ბიულეტენის გამოცემა საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე სამედიცინო პრაქტიკაში გამოსაყენებლად დაშვებულ სამკურნალწამლო საშუალებათა შესახებ.

10. სამკურნალწამლო საშუალებების ვაჭრობის ამ დროებითი წესის კონტროლი დაეკისროს საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, რომელმაც უზრუნველყოს ვაჭრობის ამ წესების დარღვევისას კერძო ტიპის აფთიაქებისა და საფთიაქო მაღაზიებისათვის ლიცენზიის ჩამორთმევა და მათი ფუნქციონირების შეჩერების საკითხის დასმა ადგილობრივი მმართველობის შესაბამისი ორგანოების წინაშე.

11. ადგილობრივი მმართველობის ორგანოებმა საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს წარდგინების საფუძველზე შეაჩერონ ლიცენზიააუღებელი ან ლიცენზიაჩამორთმეული კერძო ტიპის აფთიაქებისა და საფთიაქო მაღაზიათა ფუნქციონირება.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის

დადგენილება

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე წვევამდელთა საგაზაფხულო გაწვევის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი **ადგენს:**

1. საქართველოს რესპუბლიკის საყოველთაო სამხედრო ვალდებულების კანონის საფუძველზე 1993 წლის საგაზაფხულო გაწვევა დაიწყოს 15 მარტიდან და გაგრძელდეს ამა წლის 1 ივნისამდე.

2. საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების რიგებში გაწვეულ იქნენ 18-დან 25 წლის ასაკამდე წვევამდელები, რომლებსაც არა აქვთ სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან გადავადების უფლება და საექიმო კომისიების მიერ ცნობილი იქნებიან ვარგისად სამწყობრო სამხედრო სამსახურისათვის.

3. შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში საქალაქო, რაიონული გამწვევი და საექიმო კომისიები, რომლებსაც უხელმძღვანელებენ სამხედრო კომისრები. შეიქმნას მათი ხელმძღვანელობისა და კონტროლისათვის რესპუბლიკური გამწვევი კომისია რესპუბლიკის სამხედრო კომისრის ხელმძღვანელობით.

4. საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა ორგანიზაცია გაუწიოს რესპუბლიკური და რაიონული საექიმო კომისიების დროულად დაკომპლექტებას საჭირო ექიმ-სპეციალისტებით, მედიკამენტებით და სამედიცინო ინსტრუმენტებით. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს წვევამდელთა სამედიცინო გამოკვლევებს. წვევამდელთა სავალდებულო სამხედრო სამსახურისათვის ჯანმრთელობის ვარგისიანობის განსაზღვრისას ქალაქებისა და რაიონების მთავარმა ექიმებმა გაამკაცრონ კონტროლი სამედიცინო კომისიებისა და სამედიცინო დაწესებულებათა მუშაობაზე.

5. საქართველოს რესპუბლიკის ადგილობრივი მმართველობის ორგანოებმა, გამგეობებმა და საკრებულოებმა, გაწვევის დროს გამოუყონ სამხედრო კომისარიატებს საჭირო შენობები, ტექნიკური მუშაკები და ავტოტრანსპორტი, უზრუნველყონ წვევამდელთა დროული გამოცხადება სამხედრო კომისარიატებში. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს 1992 წლის 9 ნოემბრის დადგენილების შესრულებას წვევამდელთა გაწვევის ორგანიზაციის საკითხებში.

6. ადგილობრივმა შინაგან საქმეთა ორგანოების განყოფილებებმა მიიღონ გადამჭრელი ზომები იმ წვევამდელთა მიმართ, რომლებიც თავს არიდებენ გაწვევაზე გამოცხადებას.

7. წვევამდელთა ორგანიზებულად შეტყობინებისათვის, რაიონებისა და ქალაქების გამგეობებთან და სამხედრო კომისარიატებთან შეიქმნას შტაბები და საინიციატივო ჯგუფები.

8. საქართველოს რესპუბლიკის ტრანსპორტის სამინისტრომ უზრუნველყოს წვევამდელთა შეუფერხებლად გადაყვანა სამხედრო კომისარიატებისა და სამხედრო ნაწილების ხელმძღვანელების განაცხადის საფუძველზე.

9. საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო კომისარმა დაუწესოს მკაცრი კონტროლი რაიონებისა და ქალაქების სამხედრო კომისარიატების მუშაობას. ორგანიზაცია გაუწიოს რესპუბლიკის გამწვევი და საექიმო კომისიების მუშაობას, დროულად აღმოფხვრას ყოველგვარი ნაკლოვანებანი მათ მუშაობაში, დამნაშავენი დაისაჯონ საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის თანახმად.

10. შეიქმნას რესპუბლიკური გამწვევ-გამანაწილებელი პუნქტები წვევამდელთა მისაღებად და სამხედრო ნაწილებში გასაგზავნად, სადაც მოეწყობა წვევამდელთა ჯანმრთელობის შემოწმება.

11. დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო კომისრისა და საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მიერ წარმოდგენილი გამწვევი და საექიმო კომისიების შემადგენლობა.

12. საქართველოს რესპუბლიკის პრესისა და ტელევიზიის ხელმძღვანელობამ სისტემატურად გააშუქონ წვევამდელთა გაწვევის მიმდინარეობა.

13. რაიონებისა და ქალაქების სამართალდამცველმა ორგანოებმა აღმოუჩინონ ქმედითი დახმარება სამხედრო კომისარიატებს ზომების მისაღებად იმ წვევამდელთა მიმართ, რომლებიც თავს არიდებენ სავალდებულო სამხედრო სამსახურს. კანონის დამრღვევნი მკაცრად დაისაჯონ.

14. საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო კომისარმა გაწვევის მსვლელობა და მისი შედეგები მოახსენოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს.

15. დადგენილება ძალაშია მიღებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი
თ. სიგუა.

თბილისი, 1993 წლის 19 თებერვალი.

რადიოსადგურ „თავისუფლების" ცნობის გამო

როგორც იუწყება რადიოსადგური „თავისუფლება", რომელიც იმოწმებს სარწმუნო წყაროებს, უახლოეს დღეებში საქართველოში კვლავ მოსალოდნელია დესტაბილიზაცია. თუ ამ ცნობებს ვირწმუნებთ, 21 თებერვლიდან დაგეგმილია მანიფესტაციების დაწყება. მათი დაწვრილებითი გეგმა უკვე შემუშავებულია.

ასეთი პერსპექტივის კომენტარი ვთხოვეთ საქართველოს თავდაცვისა და ეროვნული უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ჯაბა იოსელიანს, რომელმაც თქვა, რომ ასეთი ცნობები პირველად როდი ჩნდება. „ჩვენ აღვკვეთთ ნებისმიერ გამოხდომებს, მაგრამ, ბუნებრივია, კანონიერების ფარგლებში. ჩვენ გვაქვს თავისუფალი პრესა და ტელევიზია, და გვაქვს პარლამენტი, სადაც ყველას შეუძლია ილაპარაკოს ის, რაც სურს. ჩვენ საკუთარი სისხლის ფასად შევაჩერეთ საქართველოში ფაშიზმი, და არ დავუშვებთ, რომ ქვეყანა კვლავ ფაშიზმს დაუბრუნდეს", — თქვა იოსელიანმა. კითხვას, ნიშნავს თუ არა ეს განცხადება, რომ ექსპრეზიდენტის მომხრეთა მიტინგებსა და დემონსტრაციებს ძალით გარეკავენ, ჯაბა იოსელიანმა უპასუხა: „თუ არ იქნება დაცული მოთხოვნები წინასწარი განაცხადისა და შესაბამისი ნებართვის შესახებ, გავრეკავთ".

საქართველოს სპეცსამსახურებმა შეძლეს მოესმინათ ზვიად გამსახურდიას სატელეფონო საუბარი თავის მომხრეთა ერთ-ერთ ლიდერთან თბილისში. დიალოგიდან გამოირკვა, რომ გამსახურდია კარგად ყოფილა ინფორმირებული გაგრის ამბების შესახებ, აგრეთვე იცის, რომ მზადდება სოხუმის იერიში. საუბრისას ითქვა ასეთი ფრაზაც: შამილ ბასაევმა მიიღო განკარგულება სოხუმის აღების დროს ხელი არ ახლონ ჩვენს მომხრეებს, ისევე როგორც იყო ეს გაგრაში, — თქვა გამსახურდიამ. ბასაევი ამ ცოტა ხნის წინათ აფხაზეთის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად დანიშნული ჩეჩენია.

გვიჭირს თქმა, ეს შემთხვევითი დამთხვევაა თუ ერთი ჯაჭვის რგოლებია, მაგრამ მთავრობის საწინააღმდეგო ღონისძიებათა გამსახურდიასეული გეგმის შესახებ მონაცემები დროის მიხედვით ემთხვევა მთელი რიგი ოპოზიციური პარტიებისა და ორგანიზაციების კონფერენციას, რომელიც აგრეთვე 21 თებერვალს არის დანიშნული. ამ პარტიებმა უკვე წაუყენეს ულტიმატუმი ედუარდ შევარდნაძეს, რომელშიც მოითხოვენ 21 წლის კონსტიტუციის აღდგენას, საქართველოდან რუსეთის ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანა და უფრო მკაცრი პოზიციის დაკავება რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკებაზე. ულტიმატუმის მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში მისი ხელმომწერი პარტიები აპირებენ ბრძოლის დაწყებას, თუმცა როგორც განაცხადა ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ლიდერმა ირაკლი წერეთელმა, ეს ბრძოლა მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი საშუალებებით წარიმართება. როგორც ჩანს, მხედველობაში აქვთ იგივე მიტინგები და დემონსტრაციები.

ედუარდ შევარდნაძე მიწვეულია ჩინეთში

საქართველოში ჩინეთის საელჩოს ნოტაში, რომელიც რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს ალექსანდრე ჩიკვაიძეს გადასცა საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა ზიუ ჩჟიძინმა, კერძოდ, ნათქვამია:

„ჩინეთ-საქართველოს მეგობრობისა და თანამშრომლობის ურთიერთობის განუხრელი განვითარება-განმტკიცების მიზნით, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარე იან შანკუნი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს — სახელმწიფოს მეთაურს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს იწვევს ოფიციალურ ვიზიტით ამ წელს მისთვის მოსახერხებელ დროს". (საქინფორმი).

პარლამენტის კოლეგიის სხდომაზე

პარასკევს, 19 თებერვალს გაიმართა საქართველოს პარლამენტის კოლეგიის სხდომა, რომელმაც განიხილა მომავალი კვირის დღის წესრიგი. გადაწყდა, რომ პარლამენტი მომავალ კვირაში განიხილავს კანონპროექტებს იჯარის, სოფლის თვითმმართველობისა და მოქალაქეობის შესახებ.

გარდა აღნიშნული საკითხებისა, კოლეგიამ განიხილა კომუნიკე საქართველოში რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოს ეროვნებათა პალატის თავმჯდომარის რამაზან აბდულატიპოვის და რუსეთის ფედერაციის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის სერგეი შახრაის სამუშაო ვიზიტის შედეგების შესახებ და თავისი უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატა ამ კომუნიკეს მიმართ.

კოლეგიამ გადაწყვიტა ამ საკითხის განხილვა პარლამენტის სამშაბათის სხდომაზე.

საქართველოს პარლამენტის პრესცენტრი.

ცოდვა და მადლი

(დასასრული)

— რამდენად გულწრფელი ხართ ბატონო ვახტანგ, „ჩვენობით" რომ ლაპარაკობთ? თქვენ პირადად თქვენს თავს რატომ და რამდენად უწოდებთ ცოდვანაზიარევს.

— აბსოლუტურად გულწრფელი ვარ. განსაკუთრებით მეშინია, როცა სარწმუნოებრივ საკითხებზე ვფიქრობ ან ვწერ. რამდენ ცოდვას, სისუსტეს ვხედავ ჩემში. და საზოგადოდ ნურავინ წარმოიდგენს თავის თავს უცხო პლანეტელად. შენ შენი ხალხის ცოდვა-მანკიერების მატარებელი ხარ.

—თუ პარლამენტარს სურს წმინდა გულით, ნაკლები ცოდვებით ემსახუროს ქვეყანას, მას არა აქვს რაიმე პერსპექტივა, თუ ასე ცოდვებში დგამს ფეხს?

— პერსპექტივა პარლამენტარს შეიძლება ჰქონდეს წმინდანობამდე. თქვენ კარგად იცით დავით აღმაშენებლის ხმალი არ იყო თეატრალური ხმალი. არც მისი კანონების სისრულეში მოყვანისას ოხრავდნენ ჰუმანიზმის სახელით. მაგრამ მის ცოდვებს აღემატებოდა მადლი ღვთიური. იარაღი, ვისაც უჭირავს ხელში — სიკეთეს, სიცოცხლეს, ზნეობას უნდა იცავდეს. დიახ, იმის ჩათვლით, რომ თოფი, საჭიროების შემთხვევაში უნდა გასროლო, თუ არა და ხელში არ უნდა აიღო, პიროვნებამ თუ სახელმწიფომ.

—ბატონო ვახტანგ, მე მაინც მგონია, რომ ის ადამიანი, რომელიც სიკვდილით დასჯის კანონის მოწინააღმდეგეა, უფრო გულკეთილი უნდა იყოს.

—არ შევეცდები გიმტკიცოთ, რომ პირიქითაა. თუმცა გამორიცხული არ არის. სახელმწიფოებრივი არგუმენტებით, როგორც ჩანს, ვერ დაგარწმუნეთ. ახლა ფსიქოლოგისტური ახსნა ვცადოთ. XIX საუკუნის გერმანულ ფსიქოლოგიურ-ფილოსოფიაში შეიქმნა შთაგრძნობის თეორია (გროსი, ფიხნერი, ლიპსი და სხვები). შთაგრძნობა ნიშნავს ჩემი წარმოდგენების გადატანას სხვაზე, უმეტესწილად უსულო საგნებზე. მე რომ ქათმის დაკვლა მიჭირს, ქათმის დაკვლისას რაღაცნაირად წარმოვიდგენ ჩემს მდგომარეობას. ქათამი კი არ მებრალება, არამედ ჩემი თავი. გოეთეს „ფაუსტში" ერთგან ნათქვამია (სიტყვა-სიტყვით არ მაგონდება), ჯალათის ცულიც პირს, სიკვდილმისჯილის კისერზე რომ აღიმართება, რაღაცნაირად წარმოვიდგენთ ჩვენს კისერზეო. ეს არის ეგოისტური ფანტაზიის გაძლიერების მაჩვენებელი. თუმცა ეს ფსიქოლოგიური მიმართება შეიძლება ხელოვანმა აქციოს ესთეტიკურ მიმართებად. ამ მხრივ შეუდარებელია ვაჟა-ფშაველა, („ხმელი წიფელი") ეს სულ სხვა სიბრტყეზეა ლაპარაკი. თავისთავად გულჩვილობა ჯერ კიდევ არაა სიკეთე. იმპერატორი ნერონი, ყველას მოგახსენებათ, რა სადისტი და მკვლელი იყო, ღაპა-ღუპით ჩამოსდიოდა ცრემლები, როცა თეატრში ტრაგედიებს უყურებდა.

— ბ-ნო ვახტანგ, როგორია თვით საქართველოს რეალობა ამ კანონის შეჩერებასთან დაკავშირებით?

— კანონით გათვალისწინებული სიკვდილით დასჯის მუხლები გაუქმებული არაა, მაგრამ ფაქტიურად შეჩერებულია. რამაც აშკარად შეუწყო ხელი უმძიმესი დანაშაულების გახშირებას. მას შემდეგ, რაც სასჯელის ამ ზომის სისრულეში მოყვანა აღარ ხდება, მარტო უკანასკნელ ორ წელიწადში 30-ზე მეტი კაცი გაასამართლა ხალხმა ე. წ. ლინჩის წესით. ჩაქოლეს 37 ადამიანი.

აი, ბედის ირონია! სიკვდილით დასჯის კანონს არაცივილიზებულს ვუწოდებთ. მაგრამ მისი არადროული შეჩერებით მივიღეთ არათუ არაცივილიზებული, ბარბაროსული შედეგები. საზოგადოდ უნდა ვთქვათ, რომ ჩვენი პოლიტიკური აზროვნების ტრაგედია, არაშორსმჭვრეტელობა ისაა, რომ არ ვფიქრობთ ან ვერ ვფიქრობთ რეალურ შედეგებზე. 37 მკვლელის მოკვლის ფაქტი შეასრულეს იმ ადამიანებმა, რომელთაც ეს არ ევალებოდათ. ისინი ამ ცოდვას ვაზიარეთ, მიუხედავად იმისა, ამ სახით ჩაქოლილი მკვლელების, სადისტების დანაშაული თითქმის არც ერთხელ არ იწვევდა ეჭვს, რომ ისინი სიკვდილით დასჯას დაიმსახურებდნენ. ეს არის დანაშაული, რომელიც ხელისუფლების სინდისზეა. თუ ჩვენ არ შეგვიძლია შევქმნათ ისეთი პირობები, ამგვარ შემთხვევებს რომ საფუძველი არ ჰქონდეს, მაშინ ჩვენ სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას თავი უნდა დავანებოთ, არადა, სულერთია, დაგვანებებინებენ. თვითგასამართლების ეს პროცესი, ჩაქოლვა, ჯერჯერობით არ შეხებია უდანაშაულო ადამიანებს. მაგრამ თუ იგი გახშირდა, გახდება უმართავი პროცესი და ხალხი ცივილიზებული კი არა, ველური ხალხის სახეს მიიღებს. გაიქლიტება ან გაიყიდება (ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით) საქართველოს გოგო-ბიჭები. თუ სახელმწიფოს ვაშენებთ, უნდა ვიცოდეთ, რომ ეს ურთულესი პროცესია. ოცნებები სხვაზე ნაკლებად არ მეხერხება. მე ვხედავ დემოკრატიულ, სამართლებრივ, ჰუმანურ, ფიანდაზ საქართველოს, სადაც არც ბინის კარებს კეტავენ, არც მანქანისას... ჯერ-ჯერობით ეს ოცნებაა და ნუ ვმსჯელობთ, ვითომ რეალობაა.

— რატომ გამოიწვია ამ საკითხმა პარლამენტში ასეთი არასასიამოვნო დავა?

— არა, არაფერი არასასიამოვნო არ ყოფილა. ერთ პარადოქსსაც გეტყვით. „ფრანკფურტერ ალგემაინერ ცაიტუნგს" ინტერვიუ მივეცი, რომელშიც მე სიამაყით განვაცხადე ჩვენი იმ პარლამენტარების პოზიციის შესახებ, რომლებმაც სწორედ ჰუმანიზმის სახელით არ მისცეს ხმა ამ კანონს. ცხადია, არც ჩემი პოზიცია დამიმალავს. ის, რაც უნდა გადავაკეთოთ ხვალ, რაც კარგი იქნება ხვალ, დღეს მისი გაკეთება შეიძლება მომაკვდინებელი იყოს. პოლიტიკაში დროის შეგრძნება არის ნამდვილი პოლიტიკოსის ალღოს მაჩვენებელი.

— თქვენ იმედი გაქვთ, რომ ამ კანონს პარლამენტი მიიღებს?

— ჩვენ მთლად ზუსტად ვერ განვმარტეთ. საკითხი შეეხება სისხლის სამართლის კოდექსში მუხლის დამატებას, რომელიც დაქირავებულ მკვლელებზე უმაღლეს სასჯელს ითვალისწინებს, ისევე როგორც განზრახ მკვლელობის მუხლი და სხვა. არავითარ განსაკუთრებულ კანონს ამ საკითხზე ჩვენ არ ვიღებთ. სიკვდილით დასჯა ჩვენი კანონმდებლობით დაშვებულია. მე იმედი მაქვს, რომ პარლამენტი სახელმწიფოებრივ მიდგომას, სახელმწიფოებრივ პასუხისმგებლობას გამოიჩენს ამ სასიცოცხლოდ აუცილებელი კანონების უზრუნველყოფისათვის.

— ვთქვათ, პარლამენტმა გააუქმა ყველაზე საშინელი მკვლელობისათვის, მკვლელების მიმართ სასჯელის უმაღლესი ზომა, რა მოხდება?

— გამორიცხულია, რომ საქართველო სახელმწიფოდ იქცეს, როგორმე წესრიგი დამყარდეს.

— როგორც სახელმწიფო მოღვაწეს, რისი გეშინიათ ყველაზე მეტად?

— ხელი არ შევუშალო ჭკვიან აზრს, ჭკვიან კაცს.

„უყვარდათ როგორც ნუგეში..."

ლაზარე ზაქარიაძე

> **„სიკეთისაკენ სწრაფვა და მისი დამკვიდრების შინაგანი მოთხოვნილება, დრამატული სიმძაფრე და ზნეობრივი იდეალებისადმი ტრფიალი ჩვენი მწერლობის ერთ-ერთი ნიშანდობლივი თვისებაა. ერთი მხრივ, იმ ავბედითობით დახუნძლულმა ისტორიულმა გარემომ, რომელშიც ქართველ ერს მთელი არსებობის მანძილზე მოუხდა ცხოვრება, და, მეორეს მხრივ, თვით ქართველი კაცის მებრძოლმა, შეუდრეკელმა და უკომპრომისო ხასიათმა განაპირობა ჩვენი მწერლობის დრამატული ნაკადი. იგი ქართველ კაცს ბრძოლის ჟინითაც ალაგზნებდა და მოძღვართმოძღვრადაც მიუძღოდა. ამიტომაც „უყვარდათ, როგორც ნუგეში".**
>
> **რევაზ ბარამიძე.**

ქართული მწერლობის ფენომენი უნიკალურია თავისი ფესვებით, არსით და მნიშვნელობით. ეს უნიკალურობა უპირველესად ყოვლისა იმაში მდგომარეობს, რომ მწერლობა ქართველი კაცისათვის არასოდეს არ ყოფილა ოდენ სფერო ხელოვნებისა, ოდენ საზრდო სულისა. იგი იარაღიც იყო, მოძღვარიც და სივრცეც საარსებო უმძიმეს პერიოდებში საქართველოს ისტორიისა. შემთხვევითი არ არის ისიც, რომ ქართული პოლიტიკური აზროვნების ორი მწვერვალი დავით აღმაშენებელი და დიდი ილია სწორედ სულიერებიდან ამოდიოდნენ, რადგან სულიერება გახლდათ ქართული სახელმწიფოებრიობის სახე და ქვაკუთხედი. გახლდათმეთქი, თორემ დღესაც ასეა. ჩანასახოვან მდგომარეობაში მყოფი ქართული სახელმწიფოებრიობა თუ გადარჩება, მხოლოდ მაღალსულიერების, მაღალზნეობრიობის წყალობით, რომელიც იყო, არის და იქნება ქართველი კაცის ბუნების გამოხატულება, იმ ბუნებისა, რომელსაც სიკვდილი და გადაშენება არ უწერია. ენა-მამული-სარწმუნოება — ამ სამებაში დევს ერის სასიცოცხლო დვრიტა. ენა პირველთაგან უპირველესია, რამეთუ პირველად იყო სიტყვა.

სიტყვა — თანამედროვე ადამიანმა დაჰკარგა სიტყვის ფერის, გემოსა და სურნელების შეგრძნების უნარი. მარტო ქართველმა არა. თანამედროვეობის სულის თვისებაა ეს. სიტყვა ხომ შიშველი სულია, ნამსხვრევი სულისა. შიშველი სულის დანახვას კი ღრმა სულიერება სჭირდება, განსწავლულობაც თუ გნებავთ. რუსთველის ერს განსწავლულობა არ შეიძლება აკლდეს, გენეტიკურად თუნდაც. მაგრამ ჟამი ჟამია და ვერავინ გათავისუფლებულა დროის ტვიფარისაგან. ვერც ჩვენ გავთავისუფლდებით. წიგნის კითხვა გვეზარება, ვიზუალური აზროვნება მოგვეძალა, უფრო ზედაპირული ხედვა, იქნებ აქედანაც იღებდეს სათავეს მრავალთმრავალი უბედურება, საქართველოს რომ თავს დაატყდა. ისევ აღმაშენებლის სულს მინდა მოვუხმო, ერთი შეხედვით უცნაურ ლტოლვას ერისკაცისა მაღალი სიბრძნისადმი, იგივე „ხუცეს-მეფისა", რომლის წმინდად სამხედრო-სტრატეგიული გამარჯვებებიც კი წიგნისმიერი სიბრძნით იკვებებოდნენ, არაფერი რომ ვთქვათ რუის-ურბნისზე. ასე იყო. რაც შეეხება მხატვრულ სიტყვას, ჭეშმარიტი ქართული მწერლობა რელიგიურობის ნიშნით იყო აღბეჭდილი მუდამ, რადგან ქართველი მწერალი თავისი არსებით, თავისი ქართველობით გრძნობდა სარწმუნოების მნიშვნელობას საქართველოს ისტორიისათვის. დღესაც განუზომელია სარწმუნოების მნიშვნელობა, ოღონდ არა ბაგისმიერის, ფარისევლურის, არსისმიერის, შინაგანის უფრო. იმ შინაგანის, რომელსაც ვერ ითამაშებ. ისევე როგორც ვერ ითამაშებდა შუშანიკი თავის გაწირვას, ან ბარათაშვილი სულით ობლობას თუნდაც. ერის დაცემის ერთ-ერთი ნიშანი მწერლობაში სუბიექტურის მოძალებაა. სუბიექტურის, ინდივიდუალურის არა. როცა შენი ტკივილი ვერ სცდება შენსავე საზღვრებს, ვერ ეტევა კაცობრიულში. არც უამისობაა. იქნებ ამიტომაც დღევანდელი ქართული მწერლობა ველარ ასრულებს თავის ისტორიულ მისიას, ველარ ტვირთულობს ზნეობრივი მოძღვრის ტვირთს და მანტიას. ჩვენ რომ არა ვთქვათ, პირი თავს ხომ არ დამალავს მაინც.

მოვლენათა კვალდაკვალ

ამ თვალით შევეცადე დამენახა ქართველ მწერალთა ერთი ჯგუფის შეხვედრა სახელმწიფოს მეთაურთან. მრავალმხრივ იყო ეს შეხვედრა საინტერესო ჩემთვის. სახეების დანახვის თვალსაზრისით თუნდაც, სახეების, რომელთა უკან ქართველი მწერლების ტაძარი ილანდება. ქალბატონი ანაც იქ იყო, მურმანიც და სხვანი და სხვანი, რომელთაც უკვე სახეებით ცნობს მთლად საქართველო. თქვენი მონა-მორჩილიც მათ შორის. მაგრამ ეს არ იყო ახლა მთავარი. მთავარი სულ სხვა რამ გახლდათ. კერძოდ: როგორ იკვეთება ქართული მწერლური ცნობიერება ქართული სახელმწიფოებრივი აზროვნების პრიზმაში? სად მთავრდება თანამედროვე ქართველ მწერალში ტკივილი კაცობრივი და სად იწყება ტკივილი სახელმწიფო, თუმცა, არ გამორიცხავენ ერთურთს ესენი, უფრო მეტიც: გადაჯაჭვულ-გადაბლართულნი არიან ტყუპი ძმებივით. ამ შეხვედრაზეც გამოიკვეთა: ტყუილად კი არ თქვა ერთმა ქართველმა პოეტმა, ყველაზე უფრო ჩიტივით სარჩენი რომ იყო, იმან: „თუ გამაჩინე კიდეც „მარჩინე"-ო... უჭირს მწერლობას. არც არაფერია გასაკვირი, მწერალს ყოველთვის უჭირდა და დღევანდელ ამღვრეულ ყოფაში, თუ გაუჭირდება...

სახეები მაინტერესებდა მეთქი მწერლების. და არა მარტო მწერლების. სახელმწიფოს მეთაურისაც. მე მის თვალებში ერთგვარი მუდარაც ამოვიკითხე. ერთგვარი თხოვნაც. სურვილიც ერთგვარი: ქართულმა მწერლობამ უნდა შემოისხას ისევ მოძღვრის მანტია, მასწავლებლის, მეკვლესი თუ გნებავთ, საქართველოს ისტორიულ უღელტეხილთან. პუბლიცისტიკა ვერასოდეს ვერ იტყვის იმას, რასაც იტყვის მხატვრული სიტყვა. უნდა მოიხარშოს ტკივილი, მხატვრულ ხატებში რომ განსხეულდეს, ესეც ცხადია. მაგრამ ისიც ხომ ცხადია, რომ დრო არ ითმენს, შეიკუმშა დრო სივრცეში. ბოლოს და ბოლოს მიტინგებს ხომ არ უნდა გადავაყოლოთ ჩვენი საქართველო, ტრუბადურებს კაკაფონიის. ამაზედაც ითქვა. აბა სად უნდა თქმულიყო მწერალთა საზოგადოებაში თუ არა, იმ ადამიანების საზოგადოებაში, ადამიანის სულში რომ იხედებიან, სამყაროს სულში....

უკმარისობის გრძნობა მაინც დამრჩა. არ ვიცი რატომ,. იქნებ იმიტომ, მთავარი რომ ვერ ითქვა მაინც შეხვედრაზე. შეხვედრის შემდეგ მწერალ ჯანსულ ღვინჯილიას გავესაუბრე და ეს გრძნობა მანაც გაიზიარა. მინდოდა, რაღაც მეთქვა, ვერ ვთქვი ოლონდ...., მაშინ ბატონ რევაზ ბარამიძეს მოვუსმინოთ ისევ რას ამბობს:

„ამირანის ეპოსიდან ნაანდერძევი იდეა სიკეთისათვის ბრძოლისა და ბედთან შეურიგებლობისა, ქართული მწერლობის არსებითი თვისებად იქცა. რუსთველური პრობლემა: „ბოროტების დაძლევით" სიკეთის ზეიმის განცდა ქართული მწერლობის მარადიული თემაა. წინააღმდეგობებითა და დაბრკოლებებით აღსავსე ცხოვრების გზა და ამ გზის დაძლევაში გამოვლენილი მებრძოლი ხასიათი სამყარო სისრულითა და მრავალფეროვნებით აისახა ჩვენს ცხოვრებაში. მთელი მწერლობისათვის დამახასიათებელი მებრძოლი პათოსი, რომელიც ვლინდება ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეის დამკვიდრებაში, პიროვნების ღირსების აღიარებასა და დაცვაში, თავისუფლებისაკენ სწრაფვასა და სოციალურ პრობლემათა დაძლევაში, მწიგნობრობის ამაღლებისათვის ზრუნვასა თუ გამომსახველობითი დიდოსტატობაში, ყოველივე ეს, ჩანასახოვანი სახითა და მკვეთრად გამოვლენილი, სათავეს პოულობს ჯერ კიდევ „ფარნავაზის ცხოვრებასა" თუ იაკობ ცურტაველის შესანიშნავ თხზულებაში..."

ეროვნული მოძრაობა — მთელი ქართული მწერლობა „ეროვნული მოძრაობაა". ხოლო ქართული მწერლობა ბევრად უფრო ადრე იწყება, ვიდრე მეოცე საუკუნის ოთხმოციანი წლების მიწურულია. პარადოქსულად ვმსჯელობ, მაგრამ გაჭირვება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო. და კიდევ ერთი: ქართული სახელმწიფო პოლიტიკა ისევ სულიერებისაკენ მიემართება. სხვა გზა ჩვენ არა გვაქვს, თუმც კი, ძნელზე ძნელია ეს გზა. ბრძოლა ბოროტთან — ხილულთან და არხილულთან. ამ ბრძოლაშია თითოეული ჩვენთაგანი — დაწყებული სახელმწიფოს მეთაურით, დამთავრებული რიგითი მოქალაქით საქართველოსი, ამ ბრძოლაშია სრულიად საქართველო.

ქართულმა მწერლობამ უნდა თქვას თავისი „ნუგეშის სიტყვა" ამ ბრძოლის გზაზე.

მომავალმა რომ არ შეგვაჩვენოს!

საზოგადოება „თბილისელის" ქალთა საკრებულოს მიმართვა საქართველოს მოსახლეობისადმი

ძვირფასო თანამემამულენო!
ყველა პარტიის, ბლოკის წარმომადგენლებო!

ჩვენი სამშობლოს — საქართველოს მთლიანობას რეალური საფრთხე დაემუქრა. დღეს ჩვენი ყოფნა-არყოფნის საკითხი დგას. მტერი აღარ მალავს ავ განზრახვას — წაგვგლიჯოს სოხუმი, საქართველოს მოწყვიტოს მისი ორგანული ნაწილი, რაც საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის ტოლფასია.

ნუ დავივიწყებთ, რომ უკვე მომხდარია გაგრის, ლესელიძის, განთიადის სისხლიანი ტრაგედია, რაც ტკივილად და სირცხვილად გაჰყვება ვინ იცის, რამდენ თაობას. ვინც ამას ვერ ხედავს და სათანადო დასკვნები არ გამოაქვს, ან აშკარა მტერია, ან ბეცი მოყეთე.

რით შეგვიძლია დაღუპვისგან გადავარჩინოთ ჩვენი სამშობლო?

მხოლოდ და მხოლოდ — ერთობით.

იქნებ სწორედ დღეს გავითავისოთ ჩვენი დიდებული წინაპრის ანდერძი: „ერთობა ჩვენთვის ტახტია, მტრებისთვის — სახრჩობელაო". რამდენჯერ უნდა მოვიტეხოთ მწარედ კისერი, რომ ვირწმუნოთ ამ სიტყვათა ჭეშმარიტება? რამდენჯერ?

ერთობა არ ნიშნავს მაინცდამაინც ერთნაირად აზროვნებას, ერთნაირად ფიქრს, განსხვავებული აზრისა და შეხედულების არქონას.

დღეს ერთობა უნდა იყოს ჩვენი ეროვნული პოზიცია, ჩვენი გადარჩენის ერთადერთი გზა. დადგება დრო, ღვთის შეწევნით, დამთავრდება ომი, შიმშილი, სიდუხჭირე და გადარჩენილ ქვეყანაში ყველას, ვისაც სურს, შეეძლება თავის თავს მისცეს განზე დგომის, ოპოზიციაში ყოფნის, განსხვავებული აზრისა და ქმედების უფლება.

ჩვენო თანამემამულენო, ქართველ ქალებს — თქვენს დებსა და დედებს, არა გვაქვს უფლება მშვიდად ვუცქიროთ, როგორ მიგვაქანებს უფსკრულისაკენ ზოგიერთი ჩვენგანის პოლიტიკური თუ პიროვნული ამბიცია, ქედმაღლობა, თავის გამოჩენის სურვილი.

იქ, აფხაზეთში ჩვენი შვილების, ძმების, შვილიშვილების სისხლი იღვრება, საქართველო სისხლისგან იცლება, ჩვენი გენეტიკური ფონდი იშრიტება, ნაცვლად იმისა, რომ მუშტად შევიკრათ და მტერს რისხვად დავატყდეთ, ისევ ძველებურად ხელი დაგვრია გათიშულობამ, „უჩემოდ ვინ იმღერეთას" კომპლექსმა.

გონს მოვიდეთ, პატარა წყენას, ამბიციას, პირად სიმპათია-ანტიპათიას ნუ ვანაცვალებთ მთავარს — საქართველოს მომავალს, თორემ ის მომავალი ყველას ერთნაირად შეგვაჩვენებს.

ერთიც ვიცოდეთ — საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე მეტი ქალია. არც ერთი ქალი, ვისაც ღმერთმა გონება და შვილები, ქვეყნის მომავლისათვის პასუხისმგებლობის გრძნობა მისცა, დღეს არ გაჰყვება იმას, ვინც მოუწოდებს გათიშვისა და არეულობისაკენ და ამით ახალ ცრემლსა და სისხლისღვრას აძლევს დასაბამს. ჩვენ უკვე ვიწვნიეთ ამგვარი პოლიტიკური ავანტიურის შედეგი.

გვეყო!

თანამემამულენო, შესაძლოა ღვიძლ ძმებსაც ჰქონდეთ უკმაყოფილება, მაგრამ შინ რომ დათვი შეუვარდეთ, განა ერთად არ მოიგერიებენ მას?

ჰოდა, ჩვენ ხომ დათვი ჯერაც არ მოგვიგერიებია?

მაშ, გავერთიანდეთ ჩვენი საერთო დედის — საქართველოს გადასარჩენად.

ჩვენ მხარს ვუჭერთ წინადადებას — გამოცხადდეს მორატორიუმი ყოველგვარ პარტიულ ბრძოლაზე საომარი მოქმედების სრულ შეწყვეტამდე.

დაე, ყველას ერთად გვფარავდეს მაღალი ღმერთი!

საზოგადოება „თბილისელის" ქალთა საკრებულო.

გადაუდებელი აუცილებლობა

ქართულ სახელმწიფოს — ეროვნული კონსტიტუცია

გივი ინწკირველი,
პროფესორი, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელმწიფო (კონსტიტუციური) სამართლის კათედრის გამგე.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ სამართლებრივ სახელმწიფოსაკენ მისი განვითარების გარდამავალ პერიოდში, ბუნებრივია, დღის წესრიგში დადგა ახალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემის შესაფერისი კანონმდებლობის ჩამოყალიბებისა და ქვეყნის ძირითადი კანონის — კონსტიტუციის შემუშავების საკითხი. კონსტიტუცია, როგორც ერთიანი საკანონმდებლო აქტი, ამჟამად არ არსებობს, ვინაიდან მანამდე მოქმედი — 1978 წლის კონსტიტუცია — მიუხედავად შემდგომ პერიოდში მასში შეტანილი მნიშვნელოვანი ცვლილება-დამატებებისა და ზოგიერთი დებულების სავსებით თანადროულობისა, აღარ შეესაბამება ახლად შექმნილ პოლიტიკურ წყობილებას და ვერ უზრუნველყოფს მისი ფუნქციონირების სამართლებრივ მომსახურებას.

რაც შეეხება საქართველოს რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციას, მართალია, განსხვავებით საბჭოთა პერიოდის კონსტიტუციებისაგან, იგი დამოუკიდებელი სახელმწიფოს კონსტიტუცია იყო, მაგრამ მაშინდელი საზოგადოებრივ-ეკონომიკური წყობა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა დღევანდელისაგან, მთელი რიგი პოლიტიკური ინსტიტუტების შინაარსი და გაგება შეიცვალა. ამიტომ გაუმართლებელი იყო საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს 1992 წლის გადაწყვეტილება მისი დაუყოვნებლივ სამოქმედოდ შემოღების შესახებ; თუნდაც შემდგომი განმარტებით — „არსებული რეალიების გათვალისწინებით". ვის უნდა განესაზღვრა ეს რეალიები, კონკრეტულად, რომელ მუხლებსა და ცნებებს შეეხებოდა ისინი, გაურკვეველი რჩებოდა და, ბუნებრივია, რომ ფაქტიურად ეს გადაწყვეტილება პოლიტიკურ-პროპაგანდისტულ აქციად დარჩა და გარკვეული გართულებებიც შეუქმნა არსებულ ხელისუფლებას.

ასეთ ვითარებაში აშკარად გამოიკვეთა სპეციალისტებისა და ფართო საზოგადოებრიობის აზრი საქართველოს რესპუბლიკაში რეალურად მოქმედი კონსტიტუციის არსებობის გადაუდებელი აუცილებლობის, კერძოდ კი, ახალი კონსტიტუციის შემუშავებისა და მიღების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სავსებით დროულია (შეიძლება გარკვეული პოლიტიკური ვითარების გამო, ცოტა დაგვიანებულიც) საქართველოს პარლამენტის მიერ ა. წ. 16 თებერვალს მიღებული დადგენილებები საქართველოს საკონსტიტუციო კომისიის შექმნისა და მის თავმჯდომარედ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის დანიშვნის შესახებ. დადგენილებაში მოცემული ფორმულირება — „საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ახალი რედაქცია", ჩვენი აზრით, ერთგვარად პირობითია მომავალი კონსტიტუციის მიმართ. მხოლოდ პროექტის საბოლოოდ შემუშავების შემდეგ, როდესაც უკვე ცნობილი გახდება მასში რა ნაწილს დაიკავებს 1921 წლის კონსტიტუციის დებულებები, რამდენად განახლებული ან რედაქციულად შეცვლილი იქნება ისინი, — მისი შინაარსიდან გამომდინარე — დაადგენს ალბათ კომისია, ეს კონსტიტუცია 1921 წლის კონსტიტუციის ახალი რედაქცია იქნება, მისი პრინციპების და ძირითად დებულებების საფუძველზე შედგენილი თუ, ფაქტობრივად, ახალი კონსტიტუცია. ეს შეფასება, ვფიქრობ, საკონსტიტუციო კომისიის მუშაობის, საყოველთაო განხილვისა და რეფერენდუმის შედეგად უნდა განისაზღვროს.

ხოლო კონსტიტუციაზე მუშაობისა და მიღების ვადები, როგორც თვითონ ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, სავარაუდოდ ა. წ. დეკემბრამდე (პროექტის შედგენა საყოველთაო განხილვისათვის, 1994 წლის მაის-ივნისში პარლამენტის მიერ პროექტის განხილვა და მიღება, 1994 წლის ოქტომბერ-ნოემბერში რეფერენდუმის ჩატარება, როგორც კონსტიტუციის შექმნის დამამთავრებელი სტადია). შეიძლება დაიბადოს კითხვა: მთელი ეს პროცედურა თითქმის ორ წელიწადს მოიცავს და მანამდე სახელმწიფომ უკონსტიტუციოდ როგორ უნდა იარსებოს, მითუმეტეს, თუ ლაპარაკია „ახალ რედაქციაზე"? ჯერ ერთი, კონსტიტუციის არა მარტო შემუშავება და მიღება, არამედ მასში ცალკეული ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ყოველთვის დიდ დროს საჭიროებს (თუკი საქმეს სერიოზულად მივუდგებით). იგივე შეიძლება ითქვას მიმდინარე კანონმდებლობის წესით მიღებულ აქტებზეც, ვინაიდან ყველა ამ საკითხების გადაწყვეტისათვის საჭიროა სხვადასხვა მოსაზრებების გათვალისწინება, აწონ-დაწონვა, შეჯერება, დაზუსტება, პერსპექტივის განჭვრეტა და ა. შ. ერთბაშად გონებაში წამოჭრილი აზრის, ნაჩქარევად გაკეთებული დასკვნის დაყენება კანონპროექტის სახით ვერასოდეს დადებით შედეგს ვერ გამოიღებს. მეორეც, კონსტიტუციის შემუშავებასა და მიღებამდე მოქმედებს კონსტიტუციური ხასიათის კანონმდებლობა პარლამენტის მიერ მიღებული ცალკეული აქტების სახით და აწესრიგებს შესაბამის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ურთიერთობებს. ასეთებია მაგალითად, 1992 წლის 6 ნოემბერს მიღებული კანონი „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ", რომლის შესავალ ნაწილში პირდაპირაა ჩაწერილი, რომ იგი „განსაზღვრავს ქვეყნის საგანგებო საშინაო და საგარეო მდგომარეობით განპირობებულ საქართველოს სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოების უფლებამოსილებას, მათი მოწყობისა და საქმიანობის წესს ახალი კონსტიტუციის მიღებამდე". ასევე კონსტიტუციური ხასიათისაა კანონები „საქართველოს პარლამენტის მუდმივი კომისიების შესახებ", „საქართველოს პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ", „საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შესახებ", „საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ" და სხვ. კონსტიტუციური ხასიათის კანონები, ცხადია, კვლავ გამოიცემა ახალი კონსტიტუციის მიღებასა და მოქმედებაში შესვლამდე. ამასთან, მიზანშეწონილად გვესახება, რომ მომავალი კონსტიტუცია მოცულობით ვრცელი არ უნდა იყოს და მასში შევიდეს უზოგადესი დებულებები საკონსტიტუციო საკითხებზე. სამაგიეროდ, ცალკეული კონსტიტუციური პრინციპისა და დებულების რეალიზაციისა და ცხოვრებაში გატარებისათვის შეიქმნება სპეციალური კანონები, როგორც იურიდიული გარანტია კონსტიტუციის განხორციელებისათვის.

კონსტიტუციაში ჩადებული პრინციპები, დებულებები, დეფინიციური ნორმები, ზოგჯერ შესაძლებელია თავისებური დეკლარაციისა თუ ლოზუნგის სახით, განვითარებული და გაშლილი იქნება ასეთ კანონებში, სადაც დაწვრილებით და დეტალურად შეიძლება დადგინდეს, ვთქვათ, მოქალაქის რომელიმე უფლების გამოყენების ან მოვალეობის შესრულების წესი, სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოსა ან თანამდებობის პირის უფლებამოსილების ზუსტი ფარგლები, სახელმწიფოს საშინაო და საგარეო საქმიანობის კონკრეტული მხარეები. თანაც, ამ კანონებში შესწორებების შეტანა, ზოგჯერ კი შეცვლა ან გაუქმება შედარებით უმტკივნეულოდ განხორციელდება. ამგვარი მიდგომა და პოზიცია თავიდან აგვაცილებს თვით კონსტიტუციაში ხშირი და მრავალრიცხოვანი ცვლილება-დამატებების საჭიროებას, რაც უარყოფითად მოქმედებს კონსტიტუციის სტაბილურობაზე.

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის შემუშავებისა და მიღების ამოცანის წარმატებით გადაწყვეტაში, ვფიქრობ, საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ექნება ორგანიზაციულ მხარეს, დღევანდელი ეტაპიდან დაწყებული კონსტიტუციის ძალაში შესვლამდე. სავარაუდო ვადებისა და კონსტიტუციის მიღების მექანიზმის შესახებ უკვე ითქვა ბ-ნ ე. შევარდნაძის გამოსვლაში პარლამენტის სხდომაზე. საკონსტიტუციო კომისია, კომისიის თავმჯდომარე — საყოველთაო განხილვა — პარლამენტი — რეფერენდუმი. მაგრამ ეს გარეგანი მხარეა, რომლის შინაარსში ნაგულისხმევია ცალკეული ადამიანებისა და კოლექტივების შემოქმედებითი ინტელექტუალური საქმიანობა. ყველა ეტაპზე დიდი დატვირთვა მოელის და პასუხისმგებლობა ეკისრება საკონსტიტუციო კომისიას და სავსებით კანონზომიერია, რომ კომისიის თავმჯდომარედ პარლამენტმა აირჩია რესპუბლიკის უმაღლესი თანამდებობის პირი, სახელმწიფოს მეთაური და პარლამენტის თავმჯდომარე, მთელ მსოფლიოში ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე. მისი დატვირთვა ამ მოვალეობის შესრულების, კომისიის მუშაობის წარმართვის პროცესში უზომოდ დიდი იქნება. მას დაევალა კომისიის შემადგენლობის წარდგენა პარლამენტის დასამტკიცებლად და, როგორც ჩანს მისი განმარტებიდან, ამ კომისიისათვის სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის დარქმევა და არა საპარლამენტო საკონსტიტუციო კომისიისა, — მასში სამუშაოდ მიწვეული იქნება რესპუბლიკის მოსახლეობის სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები, თანამდებობის პირები, დეპუტატები, მეცნიერი მუშაკები, მაგრამ კარგი იქნება თუ მათგან მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენენ უშუალო სპეციალისტები — თეორეტიკოსები და პრაქტიკოსები. ჩვენი ღრმა რწმენით, სწორედ ამ კომისიაში უნდა დაიბადოს კონსტიტუციის პროექტი, ცხადია, პრესაში გამოთქმული მოსაზრებებისა და შემოსული წინადადებების გათვალისწინებით. გამართლებულად არ მიმაჩნია, ასე ვთქვათ, „პროექტომანიით" გატაცება, როდესაც ყველა თვლის (პოლიტიკური პარტია, საზოგადოებრივი ორგანიზაცია, ადამიანთა ჯგუფები ან ცალკეული პირები), რომ კონსტიტუციის პროექტი უნდა შეადგინონ და შემდეგ ყველა მოითხოვს მის დაბეჭდვას და განხილვას. დილეტანტობა ამ სერიოზულ საქმეში არ გამოგვადგება.

უმჯობესია, თუ თვითონ საკონსტიტუციო კომისია, უმოკლეს დროში, შეიმუშავებს და გამოაქვეყნებს მის მოსაზრებას მომავალი კონსტიტუციის ზოგადი სტრუქტურისა და ძირითადი მონახაზების შესახებ, და სწორედ აქედან, ამ პირველი ვარიანტიდან დაიწყება განხილვის პროცესი. თუ იმასაც ვივარაუდებთ, რომ უშუალოდ ამ დარგის სპეციალისტებს დიდი ხანია დაწყებული აქვთ კონსტიტუციის საკითხებზე მუშაობა, გამოხმაურებაც აქტიური იქნება და საქმე სასურველ დონეზე წარიმართება.

თბილისის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამართლის თეორიისა და სახელმწიფო სამართლის (კონსტიტუციური სამართლის) კათედრის წევრებმა, რომლებიც ტრადიციულად, წლების მანძილზე აწარმოებენ სამეცნიერო კვლევას კონსტიტუციის თეორიულ პრობლემებზე, მონაწილეობდნენ კონსტიტუციური კანონმდებლობის ცალკეული აქტების შემუშავებასა და განხილვაში, — ამჟამადაც მთელი შემადგენლობით დაიწყეს საქართველოს კონსტიტუციის საკითხების დამუშავება და ამ მიმართულებით სამეცნიერო კვლევითი თემატიკის დაგეგმვა. ზოგიერთი ნააზრევი უკვე ასახულია ამ ბოლო ხანებში გამოქვეყნებულ ნაშრომებში, სასკოლო და საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოებში.

საქართველოს რესპუბლიკის მომავალი კონსტიტუციის ზოგადი სტრუქტურისა და შინაარსის თაობაზე ზემოთ აღნიშნული წინადადებების შესაბამისად კათედრის წევრებმა ჩამოაყალიბეს თავიანთი შეხედულებები, რომლებიც გადაეცემა საკონსტიტუციო კომისიას. ერთ-ერთი მოსაზრება ეხება კონსტიტუციის ტექსტის მოცულობას, რაზედაც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი. მეორე, გამომდინარეობს იმის შეგნებიდან, რომ საქართველოს კონსტიტუცია თავისი ბუნებით ქართული კონსტიტუცია უნდა იყოს, მასში უნდა აისახოს ჩვენი ხალხის მრავალსაუკუნოვანი სამართლებრივი კულტურა, გათვალისწინებული იყოს ძველი ქართული კანონმდებლობისა და ჩვეულებითი სამართლის ინსტიტუტები, შესაძლებლობის ფარგლებში დამკვიდრდეს ქართული ტერმინოლოგია და ცნებები. მაგალითისათვის წინასწარვე მოვიყვანთ კონკრეტულ წინადადებას სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს — პარლამენტის ქართული სახელწოდების შესახებ. როგორც ცნობილია, პარლამენტი განზოგადებული ცნებაა უმაღლესი, არჩევითი საკანონმდებლო ორგანოებისა. ზოგიერთ ქვეყანაში ასეთ ორგანოს პირდაპირ პარლამენტს უწოდებენ (ინგლისი, საფრანგეთი, იტალია და სხვ.), ზოგიერთში კი პარლამენტებს თავისი სახელწოდება აქვს. მაგალითად, კონგრესი (აშშ), ეროვნული კონგრესი (არგენტინა, ბრაზილია), რიკსდაგი (შვეცია), მეჯლისი (ირანი), დიდი ეროვნული კრება (თურქეთი) და ა. შ. შესაძლებელია საქართველოს პარლამენტსაც თავისი ქართული სახელწოდება დაერქვას, მაგალითად, დარბაზი, ან კიდევ რესპუბლიკის საკრებულო (ადგილობრივ ორგანოებს კი დაერქმევათ ქალაქის, რაიონის და სხვა საკრებულოები). ამ საკითხებში აქტიურ მონაწილეობას მიიღებს იურიდიული ფაკულტეტის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის კათედრაც.

მესამე წინადადება შეეხება მომავალი კონსტიტუციის სტრუქტურას, მის დაყოფას ძირითად ნაწილებად, განყოფილებებად. ამ საკითხზე გამოთქმული მოსაზრება გამომდინარეობს ჩვენი რწმენიდან კონსტიტუციის ტექსტის მოცულობის შემცირების მიზანშეწონილობის შესახებ. ასეთ განყოფილებას, კარს თუ თავს, რომელიც პირველი იქნება პრეამბულის შემდეგ, შეიძლება დაერქვას „ზოგადი დებულებანი", როგორც ეს 1921 წლის კონსტიტუციაში იყო, მაგრამ მასში უნდა შევიდეს ჩვენი საზოგადოებისა და სახელმწიფოს არსის განმსაზღვრელი ძირითადი ცნებები, ისეთი მუხლები, რომლებიც აქამდელი ტერმინოლოგიით პოლიტიკურ და ეკონომიკური სისტემის მდგომარეობას შეეხება (ხალხის სუვერენიტეტი, სახელმწიფოს ფორმა, მისი სამართლებრივი ხასიათი, დემოკრატიულობა, მეურნეობის სისტემა, საკუთრების ფორმები და სხვ.).

შემდეგი განყოფილება მოიცავს პიროვნებისა და სახელმწიფოს ურთიერთობის საკითხებს: მოქალაქეობა, მოქალაქის ძირითადი უფლება-მოვალეობანი, როგორც ეს იყო 1921 წლის კონსტიტუციის მეორე თავში, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ამ უკანასკნელში მხოლოდ პოლიტიკურ და პირად უფლებებზეა ლაპარაკი, სოციალურ-ეკონომიკური უფლებანი კი ცალკე ერთ-ერთ ბოლო თავშია მოთავსებული. ახალ პროექტში უმჯობესია ეს საკითხები თავმოყრილი იყოს ერთ თავში თუნდაც „პიროვნების სამართლებრივი მდგომარეობის" სახელწოდებით. მესამე განყოფილება მიეძღვნება სახელმწიფო ორგანოთა სისტემას, მათი შექმნის წესსა და უფლებამოსილებას, იმის ხაზგასმით, რომ ეს სისტემა დამყარებულია ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე. მეოთხე განყოფილება საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის კონსტიტუციურ რეგულირებას შეეხება, იქიდან გამომდინარე, რომ მის შემადგენლობაში არსებობს ავტონომიური რესპუბლიკები, ისტორიულად ჩამოყალიბებული რეგიონები (თუმცა „ყველა ჩვენი სამშობლოა, საყვარელი საქართველო"). ისიც უნდა იქნას გათვალისწინებული, რომ ადრეც იყო მსჯელობა საქართველოში ფედერაციული სახელმწიფო წყობილების ფორმის დადგენის მიზანშეწონილობის თაობაზე.

დაბოლოს, კონსტიტუციის ცალკე მუხლები განსაზღვრავენ დამოუკიდებელი საქართველოს დროშის, გერბის, ჰიმნის, დედაქალაქის საკითხებს და კონსტიტუციის შეცვლის წესს.

პარტიებსა და საზოგადოებებში

ჩვენ ყველა ქვეყანასთან ხელშეკრულების მომხრე ვართ

საქართველოში შექმნილი ურთულესი სამხედრო, პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა მრავალმხრივ არის დაკავშირებული რუსეთ-საქართველოს ახალი ხელშეკრულების დადებასთან, რაზეც ილია ჭავჭავაძის საზოგადოებამ არაერთხელ გამოხატა თავისი დამოკიდებულება პარლამენტში. ამავე საკითხთან იყო ერთგვარად დაკავშირებული ი. წერეთლის განცხადებები, რომელმაც დიდი ხმაური და აზრთა სხვაობა გამოიწვია.

ი. წერეთელი პოლიტიკური ძალების დიდ ნაწილთან ერთად იზიარებს შეშფოთებას ამ ხელშეკრულების ხასიათის გამო, მაგრამ მან ამ მიმართულებით ყურადღების კონცენტრაციის ნაცვლად წამოაყენა რამდენიმე სრულიად მიუღებელი წინადადება, რითაც დაუყოვნებლივ ისარგებლეს პრორუსულმა ძალებმა ხელშეკრულების მოწინააღმდეგე ყველა ძალის ერთ ტაფაში მოსაქცევად.

ყოველივე ამის გამო ილია ჭავჭავაძის საზოგადოება თავს მოვალედ რაცხს განაცხადოს შემდეგი: ჩვენც მომხრე ვართ 1921 წლის კონსტიტუციის ამოქმედებისა, ოღონდ ახალი რედაქციით, მაგრამ ამის პანაცეად გამოცხადება აშკარად არაგონივრულია. კიდევ უფრო ეწინააღმდეგება საღ აზრს ახალი არჩევნების დანიშვნის მოთხოვნა. ზედიზედ ამდენ არჩევნებს ერთმანეთის მიყოლებით დღევანდელი საქართველო კი არა, კარგად დალაგებული ქვეყანაც ვერ გაუძლებს. თანაც ოქტომბრის შემდეგ თვალწინ არც არსებული პოლიტიკური ძალები შეცვლილა და არც არჩევნების პირობები, რომ არჩევნებმა რაიმე არსებითად განსხვავებული შედეგები მოგვცეს. რაც შეეხება გამსახურდიას მოწვევაზე საუბარს, ეს უკვე უბრალო შეცდომა კი არ არის, არამედ პოლიტიკური არათანმიმდევრულობის და უპრინციპობის იშვიათი მაგალითია.

რაც მთავარია, დაუშვებლად მიგვაჩნია რუსეთ-საქართველოს ეგრეთ წოდებული — „დიდი ხელშეკრულებიდან" ყურადღების გადატანა 1921 წლის კონსტიტუციაზე, ახალ არჩევნებზე და მით უფრო გამსახურდიაზე. ასეთი სახის ოპოზიცია უპირველეს ყოვლისა თვით პრორუსულ ძალებს აძლევს ხელს. მათ წინა ხელისუფლების საუკეთესო ტრადიციების შესაბამისად სასწრაფოდ შექმნეს „მტრის ხატი", რომელიც თურმე პარლამენტის შიგნით ხსნის ფრონტის ხაზს და დღე და ღამ იმაზე ფიქრობს, როგორმე დაანგრიოს ქვეყანა და არ აცალოს(?!) ხალხის მიერ არჩეულ სახელმწიფოს მეთაურს. სამწუხაროდ, ამგვარი სულისკვეთებით იყო აღსავსე ბატონ ზურაბ ჟვანიას საპასუხო გამოსვლა და საერთოდ საპარლამენტო უმრავლესობის განწყობა. ყოველივე ამის მიზეზი კი რუსეთ-საქართველოს ახალი ხელშეკრულების მზადებაა. ეროვნულმა ძალებმა და საერთოდ ქართულმა საზოგადოებრიობამ სწორედ ამ მიმართულებით უნდა გაამახვილონ ყურადღება.

და, ბოლოს, რადგან პრორუსული და პროკომუნისტური ძალები განგებ ნერგავენ აზრს, რომ თითქოს ჩვენ რუსეთთან ყოველგვარი ურთიერთობის წინააღმდეგი ვართ და ლამის ომის გამოცხადება გვინდა მისთვის, კვლავ გვსურს განვაცხადოთ, რომ ეს სიყალბეა. ჩვენ ყველა ქვეყანასთან და მათ შორის რუსეთთან კონსტრუქციული ურთიერთობის და შესაბამისი ხელშეკრულების დადების მომხრე ვართ. მაგრამ ჩვენ კატეგორიული წინააღმდეგი ვართ ამჟამად პროექტის სახით არსებული კონკრეტული ხელშეკრულებისა, როგორც მისი მრავალი მუხლის შინაარსის, ასევე საერთო ბატონყმური სულისკვეთების გამო, რომელშიც საქართველო „უფროსი ძმის" გარშემო არსებული რაღაც დიდი, ერთიანი ეკონომიკური, პოლიტიკური და სტრატეგიული სივრცის ნაწილად მოიაზრება. საქართველომ თავისი ისტორიის მანძილზე უკვე ორჯერ ჩაიდინა საბედისწერო შეცდომა, რითაც დიდი ხნით დაშორდა თავისი განვითარების ბუნებრივ, დასავლურ გზას. ახლა იგი მესამედ დგას მსგავსი საფრთხის წინაშე.

ილია ჭავჭავაძის საზოგადოება.

15. 02. 1993 წ.

„გადადგომას შეჩვეული ვარ..."

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს — სახელმწიფოს მეთაურს ედუარდ შევარდნაძეს ესაუბრა „მოსკოვსკიე ნოვოსტის" საკუთარი კორესპონდენტი აკაკი მიქაძე

სხვა გაზეთებიდან

МОСКОВСКИЕ НОВОСТИ
ЕЖЕНЕДЕЛЬНАЯ ГАЗЕТА

— მალე მას შემდეგ, რაც სათავეში ჩაუდექით სახელმწიფო საბჭოს, „მოსკოვსკიე ნოვოსტისათვის" მიცემულ ინტერვიუში თქვენ ბრძანეთ, რომ ყველაზე მეტად გაშინებთ ქაოსი და ანარქია, რომლებიც მაშინ ქვეყანაში სუფევდა. რა გაშინებთ დღეს უპირველეს ყოვლისა?

— ჩვენი სახელმწიფოსათვის ძირითადი საფრთხე ომი კი არა, ეკონომიკური კრიზისია. ჩვენ დავანგრიეთ ის, რაც იყო, უარი ვთქვით ძველ იდეებზე და არსებითად ეკონომიკურ იზოლაციაში აღმოვჩნდით.

— არჩევნების შემდეგ მრავალი იმედოვნებდა, რომ ძველ ხელმძღვანელობას შეცვლიდნენ ახალი ადამიანები. მაგრამ თქვენი დაჟინებული რეკომენდაციით წამყვანი პოსტები დაიკავეს ნაცნობმა პირებმა.

— მაშინ არჩევანი არ გვქონდა. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, თუ რა სიტუაციაში ყალიბდებოდა მთავრობა. დღეს ბევრს კამათობენ: საქართველოში გადატრიალება იყო თუ რევოლუცია? არსი ეს როდია. ვითარება ექსტრემალური იყო. არსებითად მაშინ დამყარდა სამხედრო მმართველობა. ამჟამად მიმდინარე განახლების პროცესი ბუნებრივია.

— თავის დროზე თქვენ განაცხადეთ, რომ საქართველოს ტანკები აფხაზეთში შეყვანილი იყო კომუნიკაციების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ხოლო ახლახან გენერალმა თენგიზ კიტოვანმა თქვა, აფხაზეთში იმიტომ შევედით, რომ იქ მყოფი ჩეჩნები მოგვესპო.

— უნდა ვიხელმძღვანელოთ იმით, თუ რა მდგომარეობაში იყო იმ დროს ხელისუფლება. ჩემი სტატუსიც სხვა იყო. ახლა მე სახელმწიფოს მეთაური და უმაღლესი მთავარსარდალი, რეალური ძალაუფლების მქონე კაცი გახლავართ. მე არ მინდა იმის თქმა, რომ მაშინ ფაქტის წინაშე დამაყენეს. ვინმეს მოსპობა რომ გვდომოდა, მე დავიცდიდი და ამას შესაფერის მომენტში ვიზამდი. ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისის პირობებში ომს არ იწყებენ ხოლმე. ხოლო, რაც შეეხება ვინმეს მოსპობის შესახებ განცხადებებს, ეს გაუაზრებელი გამონათქვამებია, და მათთვის პასუხს ვერ ვაგებ. ახლა ჩვენ ვეჩვევით საშინელ სიტყვებს — „ავიღეთ სოხუმი" ანდა რომელიღაც დასახლებული პუნქტი. თითქოს ომს სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე ვეწეოდეთ. ეს ჩვენი ქალაქები და სოფლებია. ჩვენ თავს მოგვახვიეს ეს ომი.

— მრავალი გააოცა თქვენმა განცხადებამ: „ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგების პოლიტიკური საშუალებანი ამოწურულია. თუ ომია, ომი იყოს".

— ეს მაშინ ითქვა, როცა სხდომებს მართავდა შერეული საკონტროლო კომისია, ხოლო შედეგები არ იყო. გამუდმებით ირღვეოდა შარშან 3 სექტემბერს მოსკოვში მიღწეული შეთანხმების პრინციპები. ეს შეთანხმება გამოიყენეს ფარად ანგარიშიანი მიზნების მისაღწევად. ჩვენი ნაწილები გამოყვანილ იქნა გაგრიდან. ნეგატიურ როლს ასრულებდნენ რუსეთის ჯარების ის დაჯგუფება, რომელსაც განალაგებენ გუდაუთაში, და მისი სარდლობა.

ძალიან ბევრი რამ — მაშინაც და ახლაც — დამოკიდებულია რუსეთზე, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის გადაჭრის გასაღები იქ არის. ჩვენ, თითქოსდა შევთანხმდით მთავარ რამეზე, მაგრამ გენერალ სოროკინს, გუდაუთაში ქვეგანაყოფების სარდალს, პერიოდულად ცაში აჰყავს თვითმფრინავები, რათა დაბომბოს ჩვენი პოზიციები და მოსახლეობა. და ეს მაშინ, როცა თითქმის მივედით რუსეთთან დიდმასშტაბიანი ხელშეკრულების ხელმოწერის შესახებ მოლაპარაკებების ფინალთან! ვიღაც საქართველოშიც და რუსეთშიც ძალიან დაინტერესებულია იმით, რომ არ დაუშვას ამ შეთანხმების ხელმოწერა. მაგრამ გენერლებს უნდა ესმოდეთ, რომ წყდება სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის ბედი და მათი საქმე არ არის პოლიტიკა.

— დღეს მრავალს აოცებს, რატომ არის დღემდე შევარდნაძე იმ ადამიანების გარემოცვაში, რომლებსაც საეჭვო წარსული აქვთ.

— ანგარიში უნდა გავუწიოთ რეალობას. თუ მხედველობაში გყავთ სამხედრო საბჭოს წევრები, რომელთაც ხელში აიღეს ძალაუფლება, ისინი ხალხმა აირჩია დეპუტატებად. მაგალითად, ჯაბა იოსელიანმა თბილისში ხმების აბსოლუტური უმრავლესობა მიიღო, კიტოვანს მხარი დაუჭირეს სოფლის რაიონში. მაგრამ მოდის პოლიტიკოსთა ახალი თაობა, და ჩვენი ამოცანაა მოვამზადოთ ისინი. მოვა დრო, და მეც მომიხდება წასვლა.

— ოპონენტებს თქვენი გადადგომა დროის საქმედ მიაჩნიათ. ისინი ამას იმით ასაბუთებენ, რომ გარკვეული წრეები მოსკოვში არასოდეს არ გაპატიებენ თქვენ აღმოსავლეთ ევროპიდან ჯარების ფორსირებულ გამოყვანას.

— მე შეჩვეული ვარ გადადგომას. თუ გამოინახება უფრო შესაფერისი კანდიდატურა, მე მზად გახლავართ. მაგრამ, თუ სერიოზულად გნებავთ, რაღაც წრეებს მე არა მარტო არ ვუნდივარ, არამედ ვძულვარ კიდეც. ესენი ძალიან გავლენიანი ადამიანები. სწორედ მათ ჩააგონეს აფხაზ სეპარატისტებს, რომ შეიძლება მოსწყდნენ საქართველოს და შევიდნენ რუსეთის შემადგენლობაში. ეს ინტრიგის ნაცნობი ტექნოლოგიაა. მე ეს ყურმოკვრით როდი ვიცი. რუსეთი ბოლომდე არ განთავისუფლებულა იმპერიული სენისაგან, ამიტომ რაღაც ძალებს ექმნებათ ასეთი საქმიანობის ასპარეზი. მაგრამ როცა მე ვლაპარაკობ კეთილმეზობლურ ურთიერთობაზე, უპირველეს ყოვლისა, ვენდობი ბორის ელცინს, რუსეთის დემოკრატიულ ძალებს, მე ხელს არ მოვაწერდი 3 სექტემბრის შეთანხმებას, რომ არ მწამდეს პრეზიდენტისა.

— დღემდე პარლამენტს არ დაუმტკიცებია თავდაცვის მინისტრი. აპირებთ თუ არა დაასახელოთ ამ პოსტზე თენგიზ კიტოვანის კანდიდატურა?

— ვფიქრობ, ჯერ არ გადამიწყვეტია. დღეს არსებული წესების დარღვევა ძალიან ძნელია.

მიმდინარეობს ომი, და საჭიროა შესაბამისი რესურსები. იგი სამხედრო კაცი არ გახლავთ, მაგრამ სამხედრო საქმე იცის. არ გამოვრიცხავ, რომ გადაყენების საკითხი შეიძლება მომწიფდეს.

— მრავალს აშინებს თქვენი ძალაუფლების გაძლიერება. როგორც ერთმა დეპუტატმა შენიშნა, თავის დროზე თქვენ საქართველო ხელთათმანივით ჩამოიცვით, თქვენს შემდეგ კი ჯერ ვერავინ ვერ მოახერხა ჩამოეცვა იგი თუნდაც ერთ თითზე.

— ვერ ვიტყოდი, რომ პარლამენტში საშინელი რამ ხდებოდეს. ეს პარლამენტთან თავმჯდომარის ჩვეულებრივი ურთიერთობაა. როცა დავაყენე ნდობის საკითხი, წინააღმდეგ ხმა მისცა სამმა, ოთხმა თავი შეიკავა. თუმცა იგრძნობა, რომ ყალიბდება გარკვეული ოპოზიცია.

— რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში შებრკოლების ლოდად რჩება საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის არმიის სტატუსი. რადიკალური პოლიტიკური პარტიები მოითხოვენ მის დაუყოვნებლივ გაყვანას და მისთვის საოკუპაციო სტატუსის მინიჭებას. შეძლებთ თუ არა საქმე მიიყვანოთ რუსეთთან დიდმასშტაბიანი შეთანხმების ხელმოწერამდე?

— თუნდაც რომ მოვითხოვოთ ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანა, აქედან არაფერი არ გამოვა. ბევრი რამ უნდა აღვადგინოთ იქიდან, რაც დაინგრა. თუნდაც რომ შევქმნათ საკუთარი არმია, ისმის კითხვა: სად ვიშოვოთ იარაღი, ტექნიკის მარაგნაწილები და ასე შემდეგ?

— იმ ხნის მანძილზე, რაც საქართველოში არ ბრძანდებოდით, შეიცვალა თუ არა თქვენი ხალხის ხასიათი და მენტალიტეტი?

— რა თქმა უნდა. როცა დავბრუნდი, გავოცდი. მე ვერ ვიცანი ჩემი ხალხი. დაპირისპირება ბუნებრივი მოვლენა გახდა. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ადამიანებს სძულთ ერთმანეთი, არ შეუძლიათ ადამიანური საუბარი. დღეს, როცა პარლამენტში სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლები კამათობენ, შესვენების დროს მეგობრებივით საუბრობენ. მაგალითად, ირაკლი წერეთელი მოითხოვს ჩემს გადადგომას, მაგრამ ჩვენ ვხვდებით და შეგვიძლია ერთმანეთთან საუბარი. მე შევიყვანე იგი დელეგაციის შემადგენლობაში, რომელიც გაემგზავრება ნატოს შტაბ-ბინაში. მოხარული ვიქნები, თუ იგი დიდ პოლიტიკურ მოღვაწედ ჩამოყალიბდება. უკვე მიმდინარეობს ახალი პოლიტიკური კულტურის ფორმირება. ორი საუკუნის მანძილზე ადამიანები ოცნებობდნენ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობაზე. უცებ ეს შესაძლებელი გახდა, მაგრამ მათ არ იციან, თუ რა არის ეს და როგორ გამოიყენონ იგი. მზად არიან სიცოცხლე გასწირონ თავისუფლებისათვის, მაგრამ არ იციან, როგორ ააშენონ თავიანთი ქვეყანა.

— თქვენი ნათლობის შემდეგ გიორგი გახდით. ახლა შეიძლება ასე მოგმართოთ?

— ჩემს ცხოვრებაში ჭეშმარიტად კარდინალური ცვლილებანი მოხდა. მომიხდა ბევრი რამის ხელახლა გააზრება. ეს ფორმალური აქტი როდია. რაც შეეხება სახელს, იგი არ შემიცვლია, ვრჩები ედუარდად. გიორგი კი ავიღე კმაყოფილებით, ასე ერქვა პაპაჩემს.

— აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა, რომლებიც წინანდელი რეჟიმებისაგან განთავისუფლდნენ, თავიანთი ქვეყნის სახელმწიფოებრიობის შენება დაიწყეს სახელმწიფო უშიშროების სამსახურების დოსიეების პუბლიკაციით. მზად ხართ თუ არა იგივე ქნათ?

— მე არ გახლავართ ასეთი ნაბიჯის მომხრე. როცა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრად ვმუშაობდი, დავინტერესდი, რა ხდებოდა 1917 წელს და ისეთი რამ ამოვიკითხე, თმები ყალყზე მიდგებოდა. იყო დასმენები, რომლებსაც ხელს აწერდნენ ადამიანები, მე რომ ვაღმერთებდი. დრო იყო ასეთი, ეს იყო ტოტალიტარული სახელმწიფოს ნაყოფი. ჩვენ უკვე ბოლო მოვუღეთ ამ რეჟიმს და მოდით ავაშენოთ ახალი სახელმწიფო.

ჩვენი და თქვენი დედაქალაქისათვის

არძინბა სწერს გაეროს, კონფედერატები კი შეტევისათვის ემზადებიან

ჩვენი ცხოვრება სისხლისღვრებივით არის დაკავშირებული ერთმანეთთან — აქ ახალი არაფერია. კერძოდ, თბილისში რომ ჰაუს დაიძახებ, მყისვე გუდაუთა გამოგეხმაურება. ამჯერად გამოეხმაურა ბიჭვინთა, სადაც გაიმართა კავკასიის ხალხთა კონფედერაციის პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ კავკასიის 16 ეროვნების წარმომადგენლები, თურქეთში აფხაზთა საზღვარგარეთული დიასპორის წარმოგზავნილნი და ყველა ოფიციალური პირი: აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ვ. არძინბა და კავკასიის ხალხთა კონფედერაციის პრეზიდენტი მუსა (ერისკაცობაში პასპორტით — იური) შანიბოვი.

— საქართველო ცდილობს კავკასიის მეორე ომის ინსპირირებას, — განაცხადა მუსა შანიბოვმა, — თუმცა შესანიშნავად ესმის, რომ ჩრდილოეთ კავკასია არასოდეს არ დატოვებს აფხაზეთს მარტო აგრესორის პირისპირ. მაგრამ კონფლიქტის გადაწყვეტის მშვიდობიანი გზა ჯერ არ ჩაკეტილა. საქართველომ უნდა შეიგნოს — იგი ამ ომს ვერ მოიგებს. საკითხი დგას ერთმნიშვნელოვნად: თუ ჩვენ წავაგეთ ომი აფხაზეთში — ჩვენ წავაგებთ მთელ კავკასიას.

ეს ასეა. არც მეტი და არც ნაკლები. ამავე დროს კავკასიის ხალხთა კონფედერაციის პრეზიდენტის მოადგილემ, დაღესტნის წარმომადგენელმა ღენგა ხალილოვმა განაცხადა, რომ დაღესტნის ხალხები არ მიატოვებენ გაჭირვებაში მოძმე აფხაზ ხალხს და გაუწევენ შეძლებისდაგვარ ფინანსურ და ჰუმანურ დახმარებას. პარალელები რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკების პროცესს, კავკასიის ხალხთა კონფედერაციის საქმიანობის გააქტიურებასა და, როგორც ამის შედეგს, ქართველ-აფხაზთა ფრონტზე ვითარების გამწვავებას შორის უკვე დიდი ხანია შეიმჩნევა. ბიჭვინთის თათბირი გაიმართა მაშინვე, როგორც კი ედუარდ შევარდნაძემ გააკეთა განცხადება, რომ რუსეთთან ხელშეკრულებას დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოსათვის უწინარესად იმიტომ, რომ რუსეთის მხარემ დაადასტუროს საქართველოს სუვერენიტეტი და მისი საზღვრების ურღვევობა.

კავკასიის ხალხთა კონფედერაციის სხდომაზე აღინიშნა, რომ, სოხუმის ეშელონირებული დაცვის მიუხედავად, ყველა ღონისძიება განხორციელდება აფხაზეთის დედაქალაქის განთავისუფლებისათვის, რომელიც ამავე დროს კავკასიის ხალხთა კონფედერაციის დედაქალაქიც არის. ვლადისლავ არძინბამ ხელი მოაწერა რამდენიმე რეზოლუციას, რომლებიც გაეგზავნა რუსეთის ხელმძღვანელობას და გაერთიანებული ერების ორგანიზაციას.

ამას იუწყება 17 თებერვლის გაზეთი „კომსომოლსკაია პრავდა".

„სანთლელთა" აღშფოთება

მიმართვა რუსეთის წითელი ჯვრის საზოგადოებისადმი

მიმდინარე წლის 28 იანვრიდან გუდაუთაში ტყვედ იმყოფება საქართველოს წითელი ჯვრის ოპერატიულ-სამაშველო სამსახურის „სანთლის" მთავარი ექიმი იური კვალიაშვილი.

საქართველოს წითელი ჯვრისა და მისი სამაშველო სამსახურის „სანთლის" მთელი კოლექტივი აღშფოთებულია ამ ფაქტის გამო, არა მხოლოდ იმიტომ, რომ წითელი ჯვრის ეგიდით მოქმედი და ოფიციალური სტატუსის მქონე პირის დაკავება სცილდება სამართლისა და მორალის ყველა ნორმის ფარგლებს, არამედ იმიტომაც, რომ ითვალისწინებს მის პირადულ თვისებებსა და მოღვაწეობას. ბატონი იური კვალიაშვილი არის ადამიანი, რომელმაც აღიარა საერთაშორისო წითელი ჯვრის ისეთი ძირითადი პრინციპები, როგორიც არის ჰუმანურობა, ნეიტრალურობა და ცხოვრების კრედოდ მიუკერძოებლობა.

აფხაზეთში მიმდინარე სამხედრო კონფლიქტის პირველი დღეებიდან დაკავებამდე, იგი აქტიურად მონაწილეობდა ჰუმანიტარული ტვირთების ჩატანასა და განაწილებაში, არასდროს არ არჩევდა და უბედურებაში მოხვედრილ ავადმყოფ ან დაჭრილ ადამიანებს ეროვნული ნიშნის ან პოლიტიკური შეხედულებების მიხედვით. თვით მისი დაკავების ფაქტი დაკავშირებულია კეთილშობილური მისიის შესრულებასთან; ბატონი კვალიაშვილი მიემგზავრებოდა ქალაქ ადლერში, რათა იქიდან გაფრენილიყო მინსკში, აფხაზეთისათვის განკუთვნილი ჰუმანიტარული ტვირთისათვის.

ჩვენ არ ვიცით, თუ რაში სდებენ ბრალს ბატონ იური კვალიაშვილს და რა პირობებში ამყოფებენ მას, რადგან ვერც ერთხელ ვერ მოვახერხეთ მოგვეწყო მასთან შეხვედრა ან, თუნდაც, რაიმე ინფორმაცია მაინც მიგვეღო მისგან; მაგრამ გამოვთქვამთ რწმენას, რომ აფხაზთა მხარე გაითვალისწინებს ამ კაცის უაღრესად დიდ ღვაწლს, როგორც საერთოდ ადამიანების, ისე, კერძოდ, ქალაქ სოხუმის მშვიდობიანი მოსახლეობის წინაშე და გადადგამს რეალურ ნაბიჯებს ბატონ იური კვალიაშვილის განთავისუფლებისთვის.

„სანთლის" კოლექტივი.

როცა სასურველს სინამდვილედ ასაღებენ

რადიოსადგურმა „აფხაზეთის რადიომ" გადასცა ეგრეთ წოდებული „აფხაზეთის რესპუბლიკის" უზენაესი საბჭოს ცნობა, რომელშიც აღნიშნულია:

„აფხაზეთის რესპუბლიკის ოჩამჩირის თავდაცვის მონაცემებით, ამ რაიონში დაიწყო საქართველოს ხელისუფალთა მიმართ მეგრელი მოსახლეობის შეიარაღებული წინააღმდეგობა. ხელში იგდებენ სამხედრო ტექნიკას, შეიარაღებას. მეგრელთა შეიარაღებულმა ფორმირებებმა ლოთი ქობალიას მეთაურობით დაიწყეს პირდაპირი საომარი მოქმედება სამთავრობო ჯარების წინააღმდეგ სენაკისა და ზუგდიდის რაიონებში. ორივე მხრიდან არიან მოკლულები და დაჭრილები".

როგორც საქინფორმის კორესპონდენტს აცნობეს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროში, ეს ინფორმაცია წმინდა წყლის ჭორია. მაგრამ, ამ ცნობას თუ გავაანალიზებთ, ნათელი ხდება, რომ მასში ასახული მოვლენები იმ ერთიანი გეგმის შემადგენელი ნაწილია, რომელიც გამიზნულია საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ. გეგმისა, რომელიც შეადგინეს არა მარტო გუდაუთასა და გროზნოში, არამედ რუსეთის კონსერვატიული ძალების წარმომადგენელთა კაბინეტებშიც.

მეორე მხრივ, აღნიშნული დეზინფორმაცია არის ცდა კიდევ ერთხელ დასწამონ ცილი სამეგრელოს მცხოვრებლებს თითქოს ისინი იბრძვიან, ან აპირებენ გამოსვლას აფხაზეთში მეომარი ქართველი ჯარისკაცების წინააღმდეგ.

„იფრინდა" იტყობინება

იატაკქვეშეთი?

ცნობილი გახდა, რომ 11 თებერვალს, თბილისის ერთ-ერთი სასაფლაოს ტერიტორიაზე გაიმართა ზვიად გამსახურდიას მომხრეთა მოძრაობის ხელმძღვანელების კრება. მისი ერთ-ერთი ინიციატორი იყო ექსპრეზიდენტის ძველი თანამებრძოლი, საქართველოს „ჰელსინკის კავშირის" წევრი ავთანდილ რცხილაძე, მან განაცხადა, რომ ამჟამად იგი არის ქართული ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი რესტავრატორი და თქვა, რომ 21 თებერვლის შესაძლო საპროტესტო აქციები, სწორედ მათ მიერ იქნება ორგანიზებული.

შეხვედრაზე ილაპარაკეს იმის თაობაზე, რომ გამსახურდიას მითითების თანახმად, აუცილებელია პარტიათაშორისი ბლოკის „მრგვალი მაგიდის" აღდგენა, რომელსაც პრეზიდენტის დროს პარლამენტში უმრავლესობა ჰყავდა. დაასახელეს კოალიციის სავარაუდო წევრების გვარები, რომელთა შორის არიან „მრგვალი მაგიდის" აქტივისტები (ყოფილი), ამჟამად რესპუბლიკის პარლამენტის წევრები. ამ სიაშია ისეთი ცნობილი ფიგურები, როგორიცაა საგარეო საქმეთა მინისტრი პრეზიდენტის მთავრობაში გ. ხოშტარია, იმავე ეპოქის პარლამენტის კულტურისა და მეცნიერების კომისიის თავმჯდომარე თ. ქორიძე, იმდროინდელი უზენაესი საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე ა. ასათიანი და სხვები.

რცხილაძის სიტყვებით, მთავრობის საწინააღმდეგო ახალი ბლოკის შესაქმნელად საჭიროა ამჟამინდელ პარლამენტში არსებულ უთანხმოებათა გამოყენება.

ცნობილია, რომ ზვიადისტური მოძრაობის აქტივისტების ჯგუფი 18 თებერვალს აპირებდა გროზნოში გაფრენას, რათა ექსპრეზიდენტისაგან მიეღოთ კონსულტაცია „მრგვალი მაგიდის" შექმნის საკითხებზე. არსებული ინფორმაციის თანახმად, ამ იდეის შესახებ იცოდა პარლამენტის დეპუტატმა ირაკლი წერეთელმა, რომელიც გამსახურდიას მმართველობის პერიოდში მისი რეჟიმის ოპოზიციაში იმყოფებოდა, ამჟამად კი, ბრალს სდებს შევარდნაძეს პრორუსულ ორიენტაციაში.

ცნობილი გახდა, რომ ზვიად გამსახურდია ტელეფონით ესაუბრა „ჰელსინკის კავშირის" სოხუმის ფილიალის ერთ-ერთ აქტივისტს და განუცხადა, სოხუმის აღების შემთხვევაში, აფხაზურ-ჩრდილოკავკასიური ფორმირებების ლიდერები დამპირდნენ, რომ არაფერს დაუშავებენ ჩემს მომხრე ქართველი მოსახლეობის წარმომადგენლებს. ამის მაგალითად იგი ასახელებს გაგრას, სადაც, მისი სიტყვებით, მის მომხრეებს ხელი არავინ ახლო.

რედაქციისაგან: ზოგიერთი პირის დასახელება და მოქმედება, რომელსაც მათ მიაწერენ, რედაქციას საფუძველს აძლევს, დაეჭვდეს ამ ინფორმაციის აბსოლუტურ სიზუსტეში.

ვიზიტად თურქეთში

23 თებერვალს სტამბოლს მიემგზავრება საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე, რომელიც მონაწილეობას მიიღებს შავი ზღვის აუზის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის საპარლამენტო ასამბლეის მუშაობაში. 11 სახელმწიფოს პარლამენტთა სპიკერები ხელს მოაწერენ ასამბლეის საპროცედურო წესებს და აირჩევენ ასამბლეის პირველ პრეზიდენტს, რომლის უფლებამოსილება ერთ წლიწადს გაგრძელდება, შემდეგ კი, პრეზიდენტის მოვალეობას თითო წლის ვადით ინგლისური ანბანის მიხედვით, რიგრიგობით შეასრულებენ მონაწილე ქვეყნების პარლამენტთა სპიკერები.

საქართველოს პარლამენტის პრესცენტრი.

ქრონიკა

სახელმწიფოს მეთაურის განკარგულებით ნუგზარ კაკიაშვილი დაინიშნა ლაგოდეხის რაიონის გამგეობის თავმჯდომარედ.

ნუგზარ ნოდარის ძე კაკიაშვილი დაიბადა 1954 წელს, ლაგოდეხის რაიონის სოფელ [illegible]რიანში. 1988 წელს [illegible] საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, მუშაობდა ლაგოდეხის აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილედ, სოფელ [illegible] კოლმეურნეობის თავმჯდომარედ. 1992 წლის ოქტომბერში აირჩიეს საქართველოს პარლამენტის წევრად ლაგოდეხის რაიონში. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

რევაზ სადუნიშვილი

„ამერიკული იმპერიალიზმი" თუ „ერაყული დემოკრატია"

საქართველოში დემოკრატიული სახელმწიფოს შენების პროცესი მიმდინარეობს, გაჩნდა იმედი, რომ ჩვენც შევძლებთ შევქმნათ ჰარმონიულად განვითარებული ცივილიზებული ქვეყანა. მაგრამ ამ რთულ გზაზე მხოლოდ პრაქტიკული საქმიანობით, ახალი მმართველობის ფორმებისა და სტრუქტურების შექმნით ვერას გავხდებით. ამ პროცესს თან უნდა სდევდეს საზოგადოების ზნეობრივ-მორალური ტრანსფორმაცია, რაც ტოტალიტარიზმისაგან დაღლილი, გამოფიტული ერისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია. პოსტკომუნისტური სენი ასე იოლად ვერ გაქარწყლდება; ჰორაციუსს უთქვამს: „ჭურჭელს დიდხანს სდის იმის სუნი, რასაც მასში პირველად ჩაასხამენ".

საქართველოში მოღვაწე პარტიების ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი დღეს პოლიტიკურ მარათონში დაწინაურებაა. პოლიტიკური მიზნები მათ ხშირად ავიწყებს ზნეობრივ პრინციპებს და ძირითად დასაყრდენს ეგზალტირებულ, ურაპატრიოტული მანიით შეპყრობილ მასებში ეძებენ. კვლავ უკანა პლანზე რჩება სულიერი ფასეულობები, ურომლისოდაც შეუძლებელია ზნეობრივად ამაღლებული, თავისუფალი საზოგადოების შექმნა. ბევრს ავიწყდება, რომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა პანაცეა არ არის, რომ მხოლოდ დამოუკიდებლობა ვერ მოუტანს ერს სრულ ბედნიერებას, — მთავარი და უმთავრესი, პიროვნების, ინდივიდის სულიერი გაჯანსაღება, შინაგანი თავისუფლებაა, ურომლისოდაც არ არსებობს ჭეშმარიტი დამოუკიდებლობა.

მწყინს, რომ კვლავ ამ თემაზე მიწევს საუბარი, თანაც ვშიშობ, ვინმემ ისევ არ წამომაძახოს (როგორც ერთ დროს), — ჯერ დამოუკიდებლობა და შემდეგ ზნეობაო! ვშიშობ, რადგან ვერ ვგრძნობ, რომ დღევანდელ პოლიტიკოსებს განსაკუთრებით აღელვებდეთ, რით ცოცხლობს, რით სუნთქავს დღეს ჩვენი საზოგადოება, რომლის ბედნიერებისთვისაც ისინი ასე გულმოდგინედ იღვწიან; რატომ არის კვლავ გასავალში თითქოს უკვე დევალვირებული ცრუპატრიოტული, ნეონაციონალისტური იდეალები; რატომ იმატა ყოფილი პრეზიდენტის პორტრეტებით დამშვენებული „ყვითელ-ყავისფერი" პრესის ტირაჟმა; რისთვის უღალატეს თავიანთ პრინციპებს ერთ დროს სიმართლისთვის თავგამოდებულმა ცენტრისტულმა გაზეთებმა და პოპულისტურ სპეკულაციას მიჰყვეს ხელი...

ვფიქრობ, ყოველივე ამას ობიექტური მიზეზები აქვს და მათ შორის უპირველესი ის არის, რომ პოლიტიკურ თამაშებში გართულ ჩვენს ლიდერებს ხალხი დაავიწყდათ, — აქაოდა, რევოლუცია მოხდა, „პრეზიდენტი" შორს არის, და ყველამ ყველაფერი კარგად შეიგნოო. ამასობაში კი დესტრუქციული ძალები ჩვეული მზაკვრული დემაგოგიით გონებას ურევენ, აბრუებენ ყოფითი სიძნელეებით შეწუხებულ ადამიანებს, კვლავ უნდობლობას, ბოროტებას თესავენ ჩვენს შორის. ყოველივე ამას წარმართავს და ხელმძღვანელობს გამსახურდია, რომელსაც საქართველოში თეთრი ცხენით ჩამობრძანების იმედი ჯერაც არ დაუკარგავს.

• • •

მკითხველს მინდა შევახსენო ალბერ კამიუს ერთი შთამბეჭდავი იგავი, რომელიც ჩვენს სინამდვილეს კარგად ეხმიანება.

> **„პრომეთე გადაუდგა ღმერთებს, ზურგი შეაქცია ზევსს და დაუკავშირდა მოკვდავთ, რათა გაუძღვეს ზეცის დასალაშქრად. მაგრამ ადამიანები ურჩნი აღმოჩნდნენ, მათ არ უყვართ ბედნიერების გადადება ხვალისათვის და განცხრომა სწყურიათ. ბედნიერება კი მოითხოვს მსხვერპლს, მიწიერი ცოდვების დათმობას.**
>
> **პრომეთე მოძღვარი და მბრძანებელი ხდება, სულ უფრო მკაცრ, დაუნდობელ ხერხებს მიმართავს. ადამიანებს ეჭვი ეპარებათ მის ყოვლისშემძლეობაში; აღარ სჯერათ მზის ქალაქის არსებობა, მათი დაყოლიება სულ უფრო ძნელდება. გმირი არწმუნებს ადამიანებს, რომ მხოლოდ მან, ერთმა იცის გზა ხსნისა, და ვისაც არ სჯერა მისი, განიდევნება უდაბნოში, მიეჯაჭვება კლდეს ყვავყორანთა საჯიჯგნად. და აი, მორჩილი უმრავლესობა კვლავ მიჰყვება თავის მარტოხელა მოძღვარს, ღვთაებას, რომელმაც ზევსისაგან მემკვიდრეობით მიიღო მხოლოდ მარტოობა და დაუნდობლობა. ის აღარ არის პრომეთე, იგი კეისრად იქცა. ჭეშმარიტმა განუმეორებელმა პრომეთემ თავისი მსხვერპლის იერ-სახე მიიღო...**
>
> **საუკუნეთა სიღრმეში კვლავაც არ წყდება სკვითური ყორღანებიდან ამოხეთქილი თავგანწირული ყივილი..."**

ცრუ პრომეთეები საქართველოს ბევრი ჰყოლია, მაგრამ ისეთი ოდიოზური ფიგურა, როგორიც გამსახურდიაა, ნაკლებად.

ამჯერად „საქართველოს სამრეკლომ" ახალი სიურპრიზით გაგვაოცა: „ზვიად გამსახურდიას მოწოდება ქართველ ერს" (2. 02. 93). თურმე, ნუ იტყვით, 24 ივნისს ზვიადისტი დივერსანტები ტელევიზიის შენობაში შეუტყუებიათ. დაუხოცავთ და დაუპატიმრებიათ, — აცხადებს ექსპრეზიდენტი.

ნეტავ რას დაჰპირდნენ იმ მამა აბრამის ბატკნებს, როგორი ფანდით შეაცდინეს?!

ტყუილად ცრუპენტელაობს ცხვრის ტყავში გახვეული დიქტატორი. კარგად ვიცით, რისთვისაც სჭირდებოდა ტელეეკრანი და რატომაც შეაცლიტა, უკვე მერამდენედ, ამდენი ქართველი საკუთარ ამბიციებს. აღნიშნულის მტკიცებისათვის დროს აღარ დავკარგავ და ხსენებული პუბლიკაციის მთავარ მომენტს მივადგები.

ზ. გამსახურდიას გამოსვლის მთავარ მიზანს მისგან გამდგარ მომხრე-თანამებრძოლებზე დაწიოკება-დაშინება შეადგენს, რითაც იგი წარსულში მანიპულირებდა პრეზიდენტობის დროსაც. ეფექტის გასაძლიერებლად გაზეთის მესვეურთ პრეზიდენტყოფილის პორტრეტი გამოუქვეყნებიათ, საიდანაც მრისხანედ შემოგვცქერის და გამაფრთხილებლად მიმართავს განდგომილთ:

> **„დამნაშავეს უნდა მივცეთ საშუალება შეინანოს ყოველივე ის, რაც ჩაიდინა... საქართველოში არავის შერჩენია ბოროტება ერის წინაშე... ჩვენ ყოველნაირად უნდა შევუწყოთ ხელი ასეთ ადამიანებს. არ არსებობს, მეგობრებო, უპატიებელი ცოდვები. უფალი გვასწავლის, რომ თუ შეინანიებთ, შეგვინდობთო და ჩვენც უფლის მიმბაძველნი უნდა ვიყოთ ამ საშინელ დროში, ამ საშინელ მდგომარეობაში"...**

ვერაფერს იტყვი, ამგვარი დახვეწილი პროპაგანდისტული ზემოქმედება თვით იმპერიის სუკში [illegible] აგენტებსაც შეშურდებოდათ. თუმცა ბატონი გამსახურდია მიზნის მისაღწევად მხოლოდ ამ მეთოდებს არ სჯერდება და თეოლოგიური აგიტაციის ფორმებსაც ოსტატურად იყენებს. როგორც დარწმუნდით, შენდობას და „ცოდვების" განტევებას მხოლოდ მათ ჰპირდება, ვინც მას ეერთგულებს, დანარჩენებს კი თითს უქნევს: „საქართველოში არავის შერჩენია ბოროტება ერის წინაშეო". აქ აშკარად გაუიგივებია თავი სამშობლოსთან და საკუთარი პერსონის მიმართ ერთგულებას, ნებსით თუ უნებლიეთ, ერთმანეთში ურევს. მაგრამ ამასაც არ სჯერდება: როგორც ვიცით, ცოდვების შენდობა-არშენდობა აქამდე მამაზეციერის კომპეტენციაში შედიოდა, ზემომოყვანილი ციტატიდან კი იკვეთება, რომ ექსპრეზიდენტს ეს საქმეც შეუთავსებია?! ეტყობა („ქვეყნის გამკითხე" ვერ ასცდა მუსლიმანური სამყაროს გავლენას, სადაც უზენაესი ხელისუფალი — იმამი საერო და სასულიერო წინამძღოლის ფუნქციებს ითავსებს), ამდენად სავარაუდოა, რომ ექსპრეზიდენტის საქართველოში ჩამობრძანების შემთხვევაში, ქართველებს ქრისტიანი იმამი გვეყოლება. ცხადია, თუ (როგორც თავად აცხადებს) ამის „საერთო-სახალხო მოთხოვნა იქნება", წინააღმდეგ შემთხვევაში კუპრში ხარშვა არ აგვცდება.

აი, ასეთ საგონებელში ჩაგვაგდო ბატონმა გამსახურდიამ თავისი გამოსვლით.

თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოტანილი პროპაგანდისტული გამოსვლა მხოლოდ უწყინარი ქადაგებით არ შემოიფარგლება, რაზეც კიდევ ერთი ციტატა მეტყველებს:

პოზიცია

> **„უბრძოლველად მივიღეთ თავისუფლება და ამიტომაც დავკარგეთ ასე მალე. დღეს კი ბრძოლით ხელახლა უნდა მოვიპოვოთ თავისუფლებაც და კეთილდღეობაც. ბრძოლის გარეშე ვერავინ ვერაფერს ვერ მოიპოვებს".**

როგორც ჩანს, ქრისტიანი იმამი „ურწმუნოებს" ჯიჰადით გვემუქრება, ეს კი ნამდვილად სცილდება პრესის თავისუფლების ყოველგვარ კანონს. ომის, ძალადობის პროვოცირება ყველაზე ლიბერალურ საზოგადოებაშიც კი სასტიკად იკრძალება, ამდენად, ბატონო „სამრეკლოელებო", მხოლოდ ამ სიტყვების გამო შეიძლება მოეღოს ბოლო თქვენს პროვოკაციულ მოღვაწეობას და ვეღარავითარი კიჟინი პრესის თავისუფლების შესახებ ვეღარ გიშველით!

თუ ბატონი „პრეზიდენტი" არ მიწყენს, კიდევ ერთ საბუთს მოვიტან, რომელიც მის აღმოსავლურ-დიქტატორულ მიდრეკილებებზე მეტყველებს. ხსენებული პუბლიკაციის ტექსტში ვკითხულობთ:

> **„რა არის ყოველივე ამის მიზეზი? მსოფლიო იმპერიალიზმის ბრძოლა ჩვენს წინააღმდეგ, საქართველოს კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ. მაგრამ, საბედნიეროდ, ბოლო წელს, როგორც მოგეხსენებათ, დიდად მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა დასავლეთში და ერთ-ერთი უბოროტესი მტერი საქართველოსი, მისი კანონიერი ხელისუფლების, ქართველი ხალხისა (იგულისხმება ამერიკის პრეზიდენტი ბუში. — რ. ს.) წავიდა პოლიტიკური ასპარეზიდან ღვთის შეწევნით. ალბათ იქნება რაღაც ცვლილებები დასავლეთის პოლიტიკაში, უნდა ვიქონიოთ ამის იმედი. კეთილისმომასწავებელი ნიშნები ჩანს".**

ვისი შეურიგებელი მტერი იყო „მსოფლიო იმპერიალიზმი" პირადად პრეზიდენტ ბუში, მკითხველს კარგად მოეხსენება. კერძოდ, აღმოსავლურ-მუსულმანური სამყაროს ისეთი ოდიოზური დიქტატორისა, როგორიც სადამ ჰუსეინია. სწორედ მან გამართა გრანდიოზული ნადიმი ამერიკის პრეზიდენტად კლინტონის არჩევის გამო. თუმცა ამ უკანასკნელმაც არ დააკლო ხელი ბაღდადის დაბომბვას, რაც იმის მომასწავებელია, რომ ამერიკის პოლიტიკა მუდამ დაუპირისპირდება დიდსა თუ პატარა ტირანებს, ეს ცხადზე უცხადესია. სინანულს მხოლოდ ის იწვევს, რომ ტრადიციულად დასავლური ორიენტაციის საქართველოში აღზრდილი ქრისტიანი კაცი, აღმოსავლურ-მუსულმანური ფუნდამენტალისტების კერპის, სადამ ჰუსეინის კრიტერიუმებით აზროვნებს და „ამერიკულ იმპერიალიზმს", „ერაყულ დემოკრატიას" ამჯობინებს. მით უფრო, რომ ზ. გამსახურდია წლების მანძილზე ცნობილი იყო, როგორც დასავლური ორიენტაციის დისიდენტი, ამ იდეების მეშვეობით შეიქმნა ავტორიტეტი ეროვნულ მოძრაობაში. მაგრამ, როგორც დრომ დაადასტურა, მისი პოლიტიკური ორიენტირი ფლუგერის მსგავსად იცვლის კურსს.

ექსპრეზიდენტის პარადოქსულ აზროვნებას მისი ადრინდელი ინტერვიუები, გამოსვლები და წერილებიც კარგად ადასტურებს. შემოგთავაზებთ რამდენიმე მათგანს.

„ერთ-ერთი დეპუტატი, მე არ მინდა დავასახელო, ამ დღეებში სერიოზულად გვეუბნებოდა, რომ ჩვენ რუსეთს, საბჭოთა კავშირს, ომი უნდა გამოვუცხადოთ ჩვენი შეიარაღებული ძალებით სამაჩაბლოს გამო. ეს ყოვლად აღმაშფოთებელი განცხადებაა..." (ზ. გამსახურდია, საქ. ტელევიზიით გამოსვლა, 15. 12. 1990 წ.).

პრეზიდენტის აღშფოთება გასაგები იქნებოდა, რომ არა მისი ერთი გამოსვლა, რომელშიც იგი ასეთ განცხადებას აკეთებს:

„დიახ, მათი ხელით სურს კრემლს მოახრჩოს ჩვენი ეროვნული მოძრაობა, მოახდინოს მისი სრული პარალიზება, მეგობრებო, დაპყრობით ომს უნდა ვუპასუხოთ ომით". („საქართველოს რესპუბლიკა", 27. 12. 1990 წ.).

აი, ჩვენი ნაპრეზიდენტალის კურიოზული აზროვნების კიდევ ერთი ნიმუში:

„თვითონ ყოფილი პატიმარი ვარ. ვიყავი პატიმრობაში. ჩემთვის ადვილი როდია კაცის დაპატიმრება. ვიცი, რა არის სატუსაღო და რეპრესიები, მაგრამ მთელი ხალხი ფეხზე დადგა და გვაიძულა, საქართველოში წესრიგი დაგვემყარებინა". (ზ. გამსახურდიას ინტერვიუ უცხოელ ჟურნალისტთან, „საქ. რესპუბლიკა", 16. 3. 1991 წ.).

ამავე ინტერვიუში უცხოელი ჟურნალისტი პრეზიდენტს უსვამს შეკითხვას, რატომ არ დააპატიმრა ცხრა აპრილის ინსპირატორი კომუნისტები. პასუხი **„იმიტომ, რომ ჩვენი ხალხი შემწყნარებელია და ყველას ყველაფერს პატიობს. ქართველები ბოღმიანი ხალხი არა ვართ".**

როგორც ხედავთ, ერთსა და იმავე ინტერვიუში პრეზიდენტს ორი საპირისპირო აზრი გაუჩნდა საკუთარ ხალხზე: ერთი მხრივ ქართველები დაუნდობლად მოვითხოვთ რეპრესიებსა და დაპატიმრებებს, ხოლო მეორეს მხრივ, პირიქით, შემწყნარებელნი და გულმოწყალენი ვართ (?!).

აქვე, საქართველოს პრეზიდენტს ერთი უხერხული ფრაზა წამოსცდა: „ჩემთვის ადვილი როდია კაცის დაპატიმრებაო", რაც ჩალაუნებურად ადასტურებს, რომ „მრგვალმაგიდურ" საქართველოში ადამიანთა დაპატიმრება პროკურატურის ან სასამართლოს გადაწყვეტილებით კი არა, პრეზიდენტის მითითებით ხდებოდა.

მკითხველს აღარ დავღლი სხვა მრავალრიცხოვანი ანალოგიებით, რაც ექსპრეზიდენტის ქამელეონისებრ ფერისცვალების ნიჭს ადასტურებს, თუმცა პოლიტიკური დალტონიზმით სნეულნი ამ პალიტრაში მხოლოდ ნარინჯისფერს ხედავენ.

იქნებ ვინმე ფიქრობს, ძლიერ მომწონდეს ექსპრეზიდენტის სამარცხვინო ავანტიურისტული დემაგოგიის კვლევა-ძიება, ან მეცნიერ-ფილოლოგ თემურ მირიანაშვილს ანიჭებდეს განსაკუთრებულ სიამოვნებას ზ. გამსახურდიას ოდიოზურ აპოლოგეტთა ბინძურ წარსულში ჩახედვა; დამერწმუნეთ, ამაში არაფერია სიამოვნების მომგვრელი; მაგრამ, ვფიქრობ, სანამ არსებობს საშიშროება, რომ ჩვენს საზოგადოებაში კვლავ გაიდგას ფესვები მომაკვდინებელმა ავთვისებიანმა სიმსივნემ, მანამდე ყოველ რევანშისტულ, პროვოკაციულ გამოხდომას საკადრისი პასუხი უნდა გაეცეს.

საქართველოს საელჩოს პრესცენტრის ცნობა

1993 წლის 19 თებერვალს, მოსკოვში საქართველო-რუსეთის მოლაპარაკების შედეგად, ხელმოწერილია ოქმი საქართველოს რესპუბლიკასა და რუსეთის ფედერაციას შორის სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებში სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობის ხელშეკრულების დადების საკითხზე. 17-19 თებერვლის მოლაპარაკების დროს, რომელსაც კონსტრუქციული ხასიათი ჰქონდა, ძირითადად შეთანხმებული იყო პროექტი ხელშეკრულებისა, რომელიც ხელმოწერა უახლოეს ხანში გაიმართება თბილისში, იუსტიციის მინისტრების დონეზე.

ხელმოწერის შემდეგ ხელშეკრულების რატიფიკაცია უნდა მოახდინონ ორი სახელმწიფოს პარლამენტებმა.

უახლოეს მომავალში ასეთი ხელშეკრულებები დაიდება აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკებთან.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

სტუმრად შეერთებულ შტატებში

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ჯონ მეიჯორი 23-25 თებერვალს პრეზიდენტ ბილ კლინტონის მიწვევით ვიზიტად ჩავა ამერიკის შეერთებულ შტატებში.

თეთრ სახლში გაიმართება ორი ქვეყნის ლიდერთა პირველი შეხვედრა. მანამდე ისინი პირადად არ იცნობდნენ ერთმანეთს და მხოლოდ რამდენჯერმე ტელეფონით ისაუბრეს შარშან ნოემბერში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის არჩევნების შემდეგ. ამერიკა-ბრიტანეთის უმაღლესი დონის მოლაპარაკების დროს ბილ კლინტონი და ჯონ მეიჯორი აპირებენ შეეხონ ფართო წრის ორმხრივ და საერთაშორისო საკითხებს, მათ შორის ვითარებას ყოფილ იუგოსლავიასა და ერაყში, თავისუფალი მსოფლიო ვაჭრობის პრობლემებს, რომლებიც განიხილება ვაჭრობისა და ტარიფების გენერალური შეთანხმების ფარგლებში.

მაღალი შეფასება დაიმსახურა

„მეცნიერის გამარჯვება პროპაგანდაზე" — ასე დაახასიათა თვალსაჩინო იუგოსლავმა მეცნიერმა რუსი ისტორიკოსის ელენა გუსკოვას ახალი წიგნი „იუგოსლავია ცეცხლში", რომლის საზეიმო წარდგენა გაიმართა ხუთშაბათს ბელგრადში.

დისკუსიის მონაწილეებმა ერთსულოვნად აღნიშნეს ავტორის ნაშრომის ნოვატორული ხასიათი, რომელმაც შეძლო უმოკლეს ვადაში შეეგროვებინა უამრავი დოკუმენტური მასალა, უკანასკნელი წლების იუგოსლავიის ტრაგედიის არსს რომ ასახავს. წიგნში წარმოდგენილი დოკუმენტები, ფაქტები, ავტორის კომენტარები ობიექტურად და მიუკერძოებლად ავლენს ქვეყნის დაშლის, შემდეგ კი ძმათამკვლელი ომის მიზეზებს, სადაც მთავარი როლი შეასრულეს ცალკეული რესპუბლიკების სეპარატისტმა ლიდერებმა. წიგნში დოკუმენტურად არის ასახული დასავლეთ ევროპის დიპლომატიის არათანმიმდევრული და არაობიექტური მიდგომა იუგოსლავიის კრიზისისადმი, რომელმაც მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი მხოლოდ კონფლიქტის ესკალაციას.

ოფიციალურ ვიზიტად

საფრანგეთის დედაქალაქში ოფიციალურ ვიზიტად მყოფი ალჟირის პრემიერ-მინისტრი ბელაიდ აბდესალამი ხუთშაბათს მიიღო საფრანგეთის პრეზიდენტმა ფრანსუა მიტერანმა. როგორც შეხვედრის შემდეგ განაცხადა ალჟირის მთავრობის მეთაურმა, საუბრის დროს მხარეებმა გამოთქვეს კმაყოფილება საფრანგეთ-ალჟირის ურთიერთობის განვითარების გამო.

იმავე დღეს ბ. აბდესალამს ჰქონდა მოლაპარაკება საფრანგეთის პრემიერ-მინისტრ პიერ ბერეგოვუასთან, ეროვნული კრების თავმჯდომარესთან ანრი ემანუელთან და სენატის თავმჯდომარესთან რენე მონორისთან. ამ შეხვედრების დროს განიხილეს ალჟირის წინაშე მდგომი პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემები, აგრეთვე, ორმხრივი ურთიერთობის განვითარების პერსპექტივები.

ეს ვიზიტი ბ. აბდესალამის პირველი მოგზაურობაა საზღვარგარეთ, შარშან ივლისში ალჟირის მთავრობის მეთაურის პოსტზე მისი დანიშვნის შემდეგ.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკისა" და საქინფორმის კორესპონდენტები

მოვლენა • ფაქტი • კომენტარი

ასლან აბაშიძე:

აჭარაში მიღწეულია სამოქალაქო თანხმობა

უკანასკნელ ხანს რუსეთის მასობრივი ინფორმაციის ზოგიერთ საშუალებებში დაჟინებით ავრცელებენ ხმებს იმის თაობაზე, თითქოსდა, მზადდებოდეს საქართველოს ეროვნული გვარდიის შეჭრა აჭარაში. მართალია, ეს ხმები პირწმინდად უარყვეს რესპუბლიკის ოფიციალურმა ხელისუფლებმა, მათ შორის თავდაცვის სამინისტრომაც, მათ მაინც გამოიწვიეს უამრავი მითქმა-მოთქმა, და გამოჩნდა კიდეც განკარგულება აჭარაში მყოფი რუსეთის ჯარების ნაწილების მისადგომების დანაღმვის შესახებ.

ამასთან დაკავშირებით, საქინფორმის კორესპონდენტი **თამაზ ზენძეხაძე** შეხვდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ასლან აბაშიძეს და რამდენიმე შეკითხვა მისცა მას.

— ბატონო ასლან, რით არის გამოწვეული ამ განკარგულების გაცემა?

— შარშან, დეკემბრის დამლევს სხვადასხვა საინფორმაციო არხით მივიღეთ ცნობები იმის თაობაზე, რომ 10 თებერვალს, ღამით მოხდებოდა თავდასხმა 145-ე დივიზიაზე, ჩვენ გვქონდა დრო ხელახლა შეგვემოწმებინა ეს ცნობები უკვე სხვა არხებით. მათგან, მიღებული ინფორმაცია იყო ერთგვაროვანი — ეს აქცია დაგეგმილია. ჩვენი ანალიზიდან გამომდინარე, ეს მიზნად ისახავდა იმას, რომ ჩამოეშორებინათ მოსახლეობის ყურადღება აფხაზეთში შექმნილი რთული, საქართველოს სხვა რეგიონებში, მათ შორის თბილისში, შექმნილი არანაკლებ რთული ვითარებისაგან, აგრეთვე ხელი შეეშალათ საქართველოსა და რუსეთს შორის მოლაპარაკებისათვის.

ჩვენ გვესმის, თუ რას ნიშნავს განცხადება 145-ე დივიზიაზე თავდასხმის შესახებ. მიმაჩნია, რომ ჩაფიქრებული იყო დიდმასშტაბიანი პროვოკაცია, რომელიც კონფლიქტში სხვა ძალებსაც ჩაითრევდა. ყოველივე ეს, კატასტროფულ შედეგებს მოუტანდა საქართველოს მთლიანობას და ჩვენ ყველაფერი ვიღონეთ, იმისათვის, რომ არ დაგვეშვა ეს ავანტიურა. ჩვენთვის ცნობილია ამ ინფორმაციის ოფიციალური წყარო და არხები.

ინტერვიუ

უნდა ითქვას ისიც, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში, თითქმის ორი წლის მანძილზე ვრცელდება აბსოლუტური დეზინფორმაცია და მას მიზანდასახულად აწვდიან რესპუბლიკის მოსახლეობას საქართველოს გარკვეული პოლიტიკური ძალები, რომლებსაც სურთ, შექმნან იმგვარი წოდებული აჭარის სინდრომი, მოამზადონ ნიადაგი თავიანთი მიზნის შემდგომი განხორციელებისათვის. მიზანი კი ერთია — შეიტანონ დესტაბილიზაცია იმ ერთადერთ რეგიონში, სადაც დღესაც საქართველოს სხვა რეგიონებში მიმდინარე ნგრევისა და ქაოსის ფონზე ხორციელდება აღმშენებლობითი პროცესი და მიღწეულია სამოქალაქო თანხმობა.

წინა პლანზე აყენებენ პროთურქულ და პრორუსეთულ ორიენტაციის არარსებულ და ამავდროულად ურთიერთგამომრიცხავ რელიგიურ ფაქტორს. ყოველივე ეს კეთდებოდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მეშვეობით, გაისმოდა საქართველოს პარლამენტის ცალკეული ხელმძღვანელების გამოსვლებში. ამას ხელს უწყობს ის, რომ უკანასკნელ დრომდე, არც პრესას, არც ტელევიზიას არ მიუცია სამართლიანი შეფასება იმისათვის, რაც ხდება აჭარაში.

— როგორც უკვე აღნიშნეთ, აჭარაში მიმდინარეობს აღმშენებლობითი პროცესი, მიღწეულია სამოქალაქო თანხმობა. მაგრამ, მისი განვითარებისათვის საჭიროა წინ წავწიოთ ეკონომიკა, დავამყაროთ და გავაფართოოთ თანამშრომლობა სხვა რეგიონებთან, ქვეყნებთან. რას იტყოდით ამის თაობაზე?

— დრომ დაადასტურა, რომ პოლიტიკურმა დაპირისპირებამ, კონფრონტაციამ, მიტინგომანიამ, გამოიწვია საყოველთაო ქაოსი, რღვევა, ძმათამკვლელი შეტაკებები, სამოქალაქო ომი, ეროვნებათაშორისი კონფლიქტები. ამის მრავალი მაგალითი არსებობს. ამიტომ, დარწმუნებული არ ვარ, რომ მხოლოდ სამოქალაქო თანხმობის მიღწევით, აგრეთვე, პოლიტიკიდან ეკონომიკაზე მთელი საზოგადოების ძირითადი ყურადღების გადატანით, შევძლოთ დავაღწიოთ თავი ღრმა კრიზისს. ჩვენ ვიცით, რომ როგორც ყოველთვის, და განსაკუთრებით საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პერიოდში, საკუთარი ძალებით პრაქტიკულად ვერ გადავწყვეტთ ვერც ერთ საკითხს, და ამიტომ, დაჟინებით ვცდილობთ დავამყაროთ ორმხრივ ხელსაყრელი ურთიერთობა რუსეთისა და ყოფილი სსრ კავშირის შემადგენლობაში შემავალ სხვა რესპუბლიკების მრავალ რეგიონთან, უწყებებთან, ორგანიზაციებთან. მიმდინარეობს დიდი მუშაობა უცხოეთის მრავალ ფირმასთან საქმიანი ურთიერთხელსაყრელი კონტაქტების დამყარებისათვის. ამ ურთიერთობას კი, რა თქმა უნდა, ორმხრივი ინტერესი უდევს საფუძვლად.

ბანდიტები ავტომობილს მოითხოვდნენ

დილის ექვსის ნახევარზე თბილისის კრწანისის პოლიციის განყოფილებაში გაისმა ტელეფონის ზარის ხმა. კერძო პირმა მორიგეს აცნობა, რომ უცნობები შესულან ექიმის ბინაში, რომელიც ამჟამად ქალაქში არ იმყოფება. უკვე რამდენიმე წუთის შემდეგ მორიგე — პოლიციის კაპიტანი შალვა გიგოლაშვილი ბრიგადასთან ერთად იყო აღნიშნულ ადგილზე — გორგასლის ქუჩის 89-ე სახლში.

ინფორმაცია დადასტურდა — სამი შეიარაღებული მძარცველი ნამდვილად იყო ბინაში და მძევლად ჰყავდათ აყვანილი ორი ქალი და ბავშვი. მათი დაკავებისა და დაპატიმრების ცდის პასუხად ბანდიტებმა ატეხეს სროლა. მორიგე ბრიგადის დასახმარებლად მოვიდნენ ახალი ძალები.

პოლიციის მუშაკები, რომლებსაც არ სურდათ საფრთხეში ჩაეგდოთ უდანაშაულო ადამიანთა სიცოცხლე, მთელი დღის განმავლობაში ცდილობდნენ მოლაპარაკებას ბოროტმოქმედებთან. ამ უკანასკნელებმა მოითხოვეს ავტომობილი და ბინის შეუფერხებლივ დატოვების საშუალება.

საღამოსათვის მათ ავტომობილი მოუყვანეს. მაგრამ დანაშაულის ადგილიდან წასვლა ბანდიტებმა ვერ შეძლეს. ატეხილი სროლის შედეგად აფეთქდა და ცეცხლი გაუჩნდა მანქანას. სამივე დამნაშავე დაიღუპა. ერთ-ერთი მძევლად აყვანილი ქალი მძიმე მდგომარეობაში მიიყვანეს საავადმყოფოში. ექიმების მცდელობა — გადაერჩინათ მისი სიცოცხლე, სამწუხაროდ, უშედეგო გამოდგა.

კრიმინალური ქრონიკა

თბილისის პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს ზაზა ბორცვაძე, რომელმაც ჯერ-ჯერობით დაუდგენელ ბოროტმოქმედთან ერთად გაძარცვა ცეზარ დარციმელია. მას ავაზაკებმა შვიდი თურქული წარმოების ქურქი წაართვეს.

ზესტაფონის რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს რკინიგზის გასამხედროებული დაცვის მუშაკები დავით ჩუბინიძე, თენგიზ კაპანაძე, ამირან ბახტაძე და ჯუმბერ სუქნიძე, რომლებმაც რკინიგზიდან სხვადასხვა დროს მოიპარეს დიდი რაოდენობით საყოფაცხოვრებო საქონელი.

ბორჯომის საცობების დამამზადებელ საამქროს თავს დაესხა რამდენიმე შეიარაღებული ბოროტმოქმედი, რომლებმაც ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით გაალებინეს დარაჯს საამქრო და გაიტაცეს 150 ტომარა ბოთლის საცობები.

ბათუმში ტრანსფორმატორების ქარხნის საწყობში შეაღწია დაუდგენელმა ბოროტმოქმედმა და მოიპარა 1700 კილოგრამი სპილენძის მავთული.

ნანა მაყაშვილი.

ხანძარმა იმსხვერპლა

17 თებერვალს საღამოს 20 საათზე ხანძარი გაუჩნდა ნავთლუღის დასახლების მეექვსე ქუჩის ოთხ ნომერ საცხოვრებელ სახლს.

შემთხვევის ადგილზე მივიდა სახანძრო ავტომანქანა. ცეცხლი ღამის ორ საათზე ჩააქრეს. ხანძრის ჩაქრობის შემდეგ სახლში იპოვეს ორმოც წლამდე ასაკის ქალის დამწვარი გვამი.

ხანძრის გამომწვევ მიზეზებს ადგენენ.

დავით ბიწაძე

შეზღუდული პასუხისმგებლობისა, თუ შეზღუდული პასუხისმგებლობა?

ანუ ამბავი ხალხისთვის საზიანო ერთი გარიგებისა

ჯერ მსურს გაგაცნოთ ერთი დოკუმენტი — სახელმწიფო კონცერნ „საქნავთობპროდუქტის" მიმდინარე წლის 26 იანვრის № 8 ბრძანება, რომელსაც ხელს აწერს ამ კონცერნის თავმჯდომარე დ. ზუბიტაშვილი, აგრეთვე № 8 კალკულაცია, რომელსაც ამტკიცებს კონცერნის თავმჯდომარის მოადგილე თ. შავდათუაშვილი, ხოლო ხელს აწერენ მთავარი ბუღალტერი ო. სუხაშვილი და მთავარი სპეციალისტი ნ. იაგორაშვილი. ეს ურთიერთშემვსები დოკუმენტები მიანიშნებენ, თუ რა იოლი გზით დაიძრა ადგილიდან კონცერნის ახალი ხელმძღვანელობა და რა უბედურებას უქადის ეს გზა ისედაც იავარქმნილ ჩვენს სახალხო მეურნეობას.

აი, რა წერია მასში: „საქართველოს სახელმწიფო კონცერნ „საქნავთობპროდუქტსა" და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „იუვაბ"-ის და „ბაშკორტოსტან" — საქართველოს ერთობლივი საწარმო „ია-მ"-ს შორის ა/წ 5 იანვრის № 8 ხელშეკრულების თანახმად შემოზიდულია ა-76 მარკის ავტობენზინი. ნ/ბაზის ხელმძღვანელებმა უზრუნველყონ მისი მიღება და რეალიზება ანგარიშსწორების შერეული წესით თანახმად ხელშეკრულებისა. კერძოდ: 1 ლიტრი ბენზინის ღირებულება 165 მან. აქედან 145 მან. გადარიცხვით, ხოლო 20 მანეთი ნაღდი ანგარიშსწორებით". (სტილი აქაც და სხვაგანაც დაცულია). — დ. ბ.

შემდეგ ბრძანებაში ლაპარაკია ბაზების მიერ მომხმარებლისგან ფულის მიღებისა და ჩაბარების, ფულადი სახსრების უსაფრთხო ტრანსპორტირებისა და თარიღის მკაცრად გასაიდუმლოების შესახებ. მთავარ ბუღალტერს ევალება უზრუნველყოს „ნ./ბაზებიდან თანხის ჩაბარების ერთი კონკრეტული დღე, როდესაც მოხდება გამყიდველთან საბოლოო ანგარიშსწორება... სათანადო მომსახურეებმა (სუხაშვილი, იაგორაშვილი) უზრუნველყონ ფასის კალკულაციის შედგენა და დაყვანა ნ/ბაზებამდე".

ამ უკანასკნელთ ბრძანებაც შესაშური ოპერატიულობით უმუშავიათ და იმავე დღეს შეუდგენიათ კალკულაცია, მასში გათვალისწინებულია მიმოქცევის ხარჯები და მისაღები 10 პროცენტი მოგება, რომლის მიხედვით გამოყვანილია ლიტრი ბენზინის სარეალიზაციო ფასი — 181 მანეთი და 50 კაპიკი.

მართლაც, აფერუმ თქვენს კომერციულ საზრიანობასა და მამულიშვილობას, კონცერნელებო! იქნებ, რა სწორად გაგიგიათ ფასების ლიბერალიზაცია და საბაზრო ეკონომიკა, ოღონდ, სამწუხაროდ, არა ხალხისა და ქვეყნის სასიკეთოდ.

უნებურად იბადება კითხვა — სცადა კი კონცერნის ხელმძღვანელობამ ისეთი პარტნიორის მოძებნა, რომელიც ასეთ კატასტროფულად მაღალ ფასად არ შემოთავაზებდა ბენზინს? ხომ შოულობენ მას ბევრად იაფად სხვები? ნათქვამი რომ ლიტონი სიტყვები არ გამოგვსვლოდა, დავეკითხეთ რამდენიმე ბიზნესმენს, რომლებმაც დაუფარავად გვითხრეს: ლიტრი ბენზინის შემოტანა 110-120 მანეთამდე გვიჯდება, გადარიცხვით და ნაწილიც ნაღდი ფულითო. თვით კონცერნის ნავთობაზებს იგი აღნიშნულზე ბევრად იაფადაც შემოაქვთ და ხელს უმართავენ საწარმოებს და მეურნეობებს. კონცერნის მიერ შემოტანილი ბენზინის ფასმა კი ყველა ერთიანად დაზაფრა.

ბევრმა მკითხველმა ისიც იცის, რომ ახლა ლიტრი ბენზინი ზოგან 120-180 მანეთადაც კი იყიდება (მარნეული, გარდაბანი). სახელმწიფო სტრუქტურები კი მას ასე მამასისხლად გვთავაზობენ (?!).

— რა ვქნათ ახლა, — გვითხრეს ნავთობბაზებში, — შემოვიტანოთ უფრო იაფად? მაშინ, „ზემდგომისგან" შემოთავაზებულს რა ვუყოთ? არადა, ბევრი საწარმო, ორგანიზაცია მეურნეობა ფასების უზომოდ ზრდის პირობებში ვეღარ ყიდულობს მას. პირადად მეც გავხდი იმის მოწმე, რომ ნავთობბაზებიდან ავტოტრანსპორტი ცარიელი ბრუნდებოდა უკან. ამ დროს კი კონცერნის მუშაკები შესაძლოა კიდეც ამაყობენ, რომ მამასისხლად ღირებული ბენზინით დატვირთული ეშელონები სისტემატურად შემოდის საქართველოში.

ასე ოკუპაბირად შეძენილმა ბენზინმა წარსულში გადამიყვანა. გამახსენდა, ამ კონცერნის მესვეურნი უცხოეთის ბაზარზე საწვავს ჩალის ფასად — ტონას 127 მანეთად რომ ყიდდნენ (?!) და ძირს უთხრიდნენ ქვეყნის ეკონომიკას. მისმა ახალმა ხელმძღვანელობამ კი „მიდგომა" შეცვალა — ოქროს ფასად იძენენ და ეკონომიკის ნგრევას განაგრძობენ. მართლაც აფერუმ მის ძველსა და ახალ ხელმძღვანელებს! ტორემ „იუვაბ" — „ბაშკორტოსტან" — საქართველოს ნაჯვარს „ია-მ"-ს მესვეურთ რა ენაღვლებათ, ისინი ადვილად იმართლებენ თავს: ჩვენ შეზღუდული პასუხისმგებლობისა ვართ, ამას თვით ჩვენი სახელწოდებაც განმარტავს, და მეტი არ მოგვეთხოვებაო.

მაგრამ ქვეყანამ და ხალხმა რა ქნან ასეთი „სახელმწიფო" ორგანიზაციისა და მისი ამნაირი „უნარიანი" ხელმძღვანელების ხელში?

რეპლიკის მაგიერ

ნავსი გატყდება?

მონტე-კარლოში დამთავრდა ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტ ქალთა ფინალური მატჩის პირველი ნახევარი ნანა იოსელიანსა და ჟუჟა პოლგარს შორის.

მოწინააღმდეგეთა მეოთხე პარტია მე-60 სვლაზე გადაიდო ქართველი დიდოსტატის მცირე უპირატესობით.

ანგარიში ჯერჯერობით ძველებურია — 2,0 : 0,5 პოლგარის სასარგებლოდ.

ფრანგული კომპლექსი?..

თბილისელი ჩოგბურთელი ლელა მესხი, რომელიც სპორტის ამ პოპულარული სახეობის საერთაშორისო ფედერაციის უკანასკნელი კლასიფიკაციით 25-ე ადგილზეა, მარცხიანად ჩაება პარიზის კორტებზე დაწყებულ ტურნირში (საპრიზო ფონდი — 375000 დოლარი).

მან თითქმის უბრძოლველად — 3 : 6, 1 : 6 — დათმო პირველი წრის შეხვედრა ფრანგ პასკალ პარადისთან.

ლელა, სამწუხაროდ, უკვე არაერთხელ გამოეთიშა ტურნირებს ფრანგებთან დამარცხების შემდეგ, არადა ამ ქვეყნის ქალები საჩოგბურთო ელიტას არ მიეკუთვნებიან.

მკაცრი გამომცდელები

გერმანიაში სტუმრად მყოფმა თბილისის „დინამოს" ფეხბურთელებმა მეორე ამხანაგური მატჩი „კაიზერსლაუტერთან" გამართეს.

ბუნდესლიგის 1991 წლის ჩემპიონებმა 4 უპასუხო ბურთი გაიტანეს სტუმართა კარში.

მადლობა „იბერვიზიას"

არგენტინის ფეხბურთის ფედერაციის შექმნის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო შეხვედრა ამ ქვეყნისა და ბრაზილიის ეროვნულ ნაკრებ გუნდებს შორის უშედეგო ბრძოლის შემდეგ ფრედ დასრულდა — 1 : 1.

ძველ მეტოქეთა და მეზობელთა შორის ბუენოს-აირესის „რივერპლეიტის" სტადიონზე გამართული ეს მატჩი იმითაც იყო აღსანიშნავი, რომ 3-წლიანი პაუზის შემდეგ მასპინძელთა რიგებში კვლავ ითამაშა დიეგო მარადონამ, რომელიც ცალკეულ ეპიზოდებში ძველ მარადონას გვახსენებდა, ხოლო მის მიერ შესრულებული ერთ-ერთი საჯარიმო დარტყმის შემდეგ ბურთი ზედა ძელმა მოიგერია.

არგენტინელები მრისხანე მოწინააღმდეგესთან მრავალწლიან დავაში ინარჩუნებენ მცირე უპირატესობას — 37 გამარჯვება, 33 წაგება და 23 ფრე.

და ბოლოს, ფეხბურთის გულშემატკივართა სახელით მადლობას ვუხდით ტელეკომპანია „იბერვიზიის" მესვეურებს, რომელთა მეოხებითაც შესაძლებლობა მოგვეცა გვეხილა ამ დაუვიწყარი მატჩის ტელეტრანსლაცია.

ვინ დაეხმარება მენავსადგურეებს?

აი უკვე მეათე დღეა, ბათუმის საზღვაო ნავსადგურში იტვირთება გემი, რომელმაც საქართველოში ჩამოიტანა შვიდი ათასი ტონა იტალიური ფქვილი, და თუმც, მისი „მივლინების" ვადები დიდი ხანია გავიდა, იგი მხოლოდ ნახევრად არის გადმოტვირთული.

ეს ამგვარი პირველი შემთხვევა როდია. არცთუ იშვიათად ხდება ხოლმე, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ზღვით მოსული ჰუმანიტარული დახმარება კვირაობით რჩება ტრიუმებში.

ახლა ბათუმისა და ფოთის ნავსადგურებში დგანან მარცვლეულით, ფქვილით და შაქრით დატვირთული „აკაკი წერეთელი" და სხვა ტანკერები. სადაცაა შემოვა კიდევ ერთი. რა დასამალია, მენავსადგურეებს, მართლაც, დიდი დატვირთვა აქვთ. ევროპის ქვეყნებიდან აქ სისტემატურად მოდის სურსათი.

თეატრი პროტესტს აცხადებს

უჩვეულო ატმოსფერო სუფევდა 17 თებერვალს თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის აკადემიურ თეატრში. რესპუბლიკის ამ უძველესი სცენური კოლექტივის მუშაკები, რომელიც გამოჩენილი რეჟისორისა და ჰუმანისტის სახელობისაა, საერთო კრებაზე მოიყვანა პროტესტისა და აღშფოთების გრძნობამ იმ სტატიის გამო, რომელიც გაზეთ „იბერია-სპექტრში" გამოქვეყნდა სათაურით „ისე დაგვედევნენ, როგორც პირველ ქრისტიანებს ძველ რომში". სტატიის ავტორია ვინმე ქეთევან ჩხეიძე, რომელიც აღწერს ერთი წლის წინანდელ ამბებს და ამტკიცებს, თითქოს, 2 თებერვალს მანიფესტანტების — დამხობილი რეჟიმის მომხრეებისათვის ცეცხლი დაეშინოთ თეატრიდან და შორიახლოს მდებარე სახლიდან, რომელშიც ოთარ მეღვინეთუხუცესი ცხოვრობს.

კრებაზე გამოსულმა თვით ოთარ მეღვინეთუხუცესმა, თეატრის დირექტორმა გაიოზ კანდელაკმა, მსახიობებმა მედეა ჯაფარიძემ, სოფიკო ჭიაურელმა, გურანდა გაბუნიამ, კოტე მახარაძემ, ნოდარ მგალობლიშვილმა, გოგი გეგეჭკორმა, სცენის სხვა სამსახურების მუშებმა განაცხადეს პროტესტი ამ „საზარელი სიცრუისათვის", რომელიც გაზეთმა გაავრცელა, და მოითხოვეს პასუხი აგებინონ სტატიის ავტორსაც და „იბერია-სპექტრის" რედაქციასაც.

ნატიფი შამათი

რუბრიკას უძღვებიან: **შოთა ინწკირველი** და **ველიერ კალანდაძე**

ორი მშვენიერი გოგონა

სპორტის გულშემატკივართათვის ცნობილია მზარდი მოჭადრაკეების მაია ლომინეიშვილის და ნინო ხურციძის სახელები. მათ რესპუბლიკურ და საერთაშორისო ასპარეზზე გოგონათა შორის მოპოვებულ წარმატებებს ახლახან მიუმატეს ჩემპიონობა უკვე ქალთა შორის. 15 წლის მაია ლომინეიშვილმა მოიპოვა თბილისის ჩემპიონობა, და საქართველოს პირველობაზე I-II ადგილი გაინაწილა. უკეთესი კოეფიციენტით საქართველოს ჩემპიონობა მიენიჭა 17 წლის ნინო ხურციძეს (ორივე ფიდეს ოსტატია). მათ ქალთა შორის მსოფლიო პირველობის ზონალურ ტურნირში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს, რომელიც დაიწყება 23 თებერვალს თბილისში. ჩვენგან პერსონალურად მიწვეულნი არიან დიდოსტატები ნინო გურიელი, ქეთი კახიანი და ნანა ალექსანდრია. ამ უკანასკნელის მიერ მონაწილეობაზე უარის გამო, ზონალურ ტურნირში ითამაშებს საქართველოს ჩემპიონატის მესამე პრიზიორი 17 წლის ოსტატობის კანდიდატი ინგა ხურციძე.

ერთი ამოსუნთქვით

თენგიზ გიორგაძეს, ცნობილ ჟურნალისტისა და ქართული ჭადრაკის ისტორიის მკვლევარს ჯერ კიდევ 1945-46 წლებში თეორეტიკოსის სახელი ჰქონდა. შეიძლება ითქვას, რომ 40-იან წლებში იგი იყო ერთადერთი კომბინაციური სტილის მოჭადრაკე საქართველოში. ამ პერიოდიდან მისი შემოქმედების მშვენებაა პარტია ვართან აღამალიანთან (თბილისის 1925 წლის ჩემპიონი) საქართველოს VIII ჩემპიონატიდან. ამ „ერთი ამოსუნთქვით" შექმნილმა ნაწარმოებმა, მაშინ ჩემზე, პროვინციელ მოსწავლეზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა (მეფეზე ბობოქარი იერიშით), რაც დღემდე არ გამნელებია. პარტია, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ესპანური სტრატეგიის" კარგი ნიმუშია. მიენიჭა კიდეც ჩემპიონატის საუკეთესო პარტიის პრიზი. სხვათა შორის, მაშინ მეტოქეები პირველთანრიგოსნები იყვნენ.

გიორგაძე-აღამალიანი. ესპანური. თბილისი, 1947 წელი. აპრილი. 1. e4 e5 2. მf3 მc6 3. კb5 a6 4. კa4 მf6 5. 0—0 კe7 6. ეe1 b5 7. კb3 d6 8. c3 0—0 9. h3 მa5 10. კc2 c5 11. d4 ლc7. ესპანურ პარტიაში ეს სისტემა ჩიგორინმა პირველად გამოიყენა ლასკერთან 1899 წელს ლონდონში. 12. მbd2 მc6 13. d:c5! ესე ვოლოდ რაუზერის (1908-1941) სისტემის დასაწყისი. თეთრები ქმნიან ფიქსირებულ ცენტრს და ისწრაფვიან ორივე ფრთაზე აქტიური მოქმედება შეუთავსონ d5 და f5 უჯრების დაუფლება. 13. ...d:c5 14. a4 ეb8 (ჯობდა 14. ...კe6) 15. მf1 კe6 16. მe3 ეbd8 17. ლe2 c4 18. მg5 მa5?! (საჭირო იყო 18. ...h6) 19. a:b5 a:b5 20. მf5 მb7 21. კe3 კc5 22. ლf3 მფh8 (თუ 22. ...h6, მაშინ 23. მ:h6! gh 24. ლ:f6 hg 25. კ:g5 მd6 26. ეad! +—) 23. ლg3 g6 24. ლh4! g:f 25. e:f5 (ჩქარა იგებდა 25. ლh6!) 25. ...კd5 26. ლh6 ლd6 27. მ:h7!!

(დიაგრამა I)



(შეწირვის ერთ-ერთი საფუძველი: 27. ...მg8 28. ლ:d6 კ:d6 29. მ:f8 ე:f8 30. ეed1 კc6 31. ეa6 ეc8 32. ე:c6 ე:c6 33. კe4+—) 27. ...კ:e3 28. მg5! მფg8 29. ე:e3 ეfe8 30. ეg3 მg4 31. მe6!! ეს მახვილგონივრული, ლამაზი სვლა მთელი ამ წამოწყების გამართლება და გვირგვინია. 31. ...ე:e6 32. f:e6 კ:e6 33. ე:g4! ეს კი გათრევის იდეაა, რომლითაც მიიღწევა f7 პუნქტის დასუსტება (მოტივი). 33. ...კ:g4 34. კh7 აღამალიანი დანებდა სამ სვლაში გარდაუვალი შამათის გამო. ქართული ჭადრაკის ადრეული პერიოდის ერთ-ერთი უმშვენიერესი პარტიაა.

ჭადრაკის მოყვარულთათვის უთუოდ საინტერესოა (და სასწავლო) ამ სისტემის პირველწყაროში გაცნობა. გათამაშდა საბჭოთა კავშირის უძლიერეს ახალგაზრდა ოსტატთა ტურნირში.

რაუზერი-რიუმინი. ესპანური. ლენინგრადი, 1936 წელი. ქრისტეშობისთვე. 1. e4 e5 2. მf3 მc6 3. კb5 a6 4. კa4 მf6 5. 0—0 კe7 6. ეe1 b5 7. კb3 d6 8. c3 მa5 9. კc2 c5 10. d4 ლc7 11. მbd2 მc6 12. a4 ეb8 13. a:b5 a:b5 14. d:c5! d:c5 15. მf1 კe6 16. მe3 0—0 17. მg5 ეfd8 18. ლf3! ეd6 19. მf5! ახლა გარდაუვალ გაცვლას მოჰყვება c2 კუს გადაყვანა e4-ზე, ხოლო f5 პაიკი განაპირობებს შეტევას პაიკთა მონაწილეობით. 19. ...კ:f5 20. e:f5 h6 21. მe4 მ:e4 22. კ:e4 კf6 23. კe3 მe7 24. b4 c4 25. g3 ეd7 26. ეa7 ლd8 27. ე:d7 ლ:d7 28. h4 მფh8 29. g4! მg8 (თუ 29. ...კ:h4, მაშინ 30. ლh3 კf6 31. g5+—) 30. g5 კe7 31. ეd1 ლc7 32. f6! (თუ 32. ...gf, მაშინ 33. ლf5 მფg7 34. gh მფf8 35. h7+—) 33. g:f6 მ:f6 34. კc2 ეd8 35. კ:h6 ე:d1 36. კ:d1 e4 37. კf4 ლd8 38. ლe2 რიუმინი დანებდა. „ეს პარტია რაუზერმა ჩაატარა როგორც ნამდვილმა დიდოსტატმა". ბოტვინიკი.

ერთი სისტემით (რამდენადმე განსხვავებული სცენარით) გათამაშებული ორი მშვენიერი პარტიის გაცნობა შემსწავლელთათვის უკვალოდ არ ჩაივლის. მიხედეთ, შეისწავლეთ მემკვიდრეობა.

სურათზე: მაია ლომინეიშვილი და ნინო ხურციძე.

კარიკატურისტის თვალით



— თუ კაცი ხარ, არ წამართვა, დღეს ჩემი დაბადების დღეა.

— შენ, მიდი, სტუმრებს მიხედე, ამ მანქანას მე მოვუვლი!..

მხატვარი **ჯემალ ლოლუა.**

ცხონება

რომან (კუკური) ბედინეიშვილი

გარდაიცვალა რომან (კუკური) ვახოს ძე **ბედინეიშვილი.** სპეციალობით იგი ინჟინერ-მეტალურგი იყო, მუშაობდა ლითონების წნევით დამუშავების დარგში. ფლობდა მეცნიერული კვლევის თანამედროვე მეთოდებს, ელექტრონულ-გამომთვლელ ტექნიკას. იყო მაღალი რიგის თეორეტიკოსი და ექსპერიმენტატორი, ავტორი ორი მონოგრაფიისა და მრავალი სამეცნიერო სტატიისა.

რომან ბედინეიშვილი დაიბადა 1934 წელს თბილისში სამხედრო იურისტის ოჯახში. აქვე დაამთავრა საშუალო სკოლა. მისი შემოქმედებითი ცხოვრება ძირითადად დაკავშირებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტთან. სწორედ აქ განვლო გზა ლაბორანტიდან ლაბორატორიის გამგემდე. წლების განმავლობაში იყო ინსტიტუტის სწავლული მდივანი და სიკვდილამდე — ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრი.

რომან ბედინეიშვილი პარალელურად ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში. იგი მუდამ გარშემორტყმული იყო ადამიანებით — მეგობრებით, კოლეგებით, მოწაფეებით. უშურველად გასცემდა ცოდნას, სითბოს, სიყვარულს, იყო ზრდილი, მორიდებული, დახვეწილი, მაგალითი ქართველი ინტელიგენტისა, რომლის მსგავსთა იმედით უნდა იარსებოს საქართველომ.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფ. თავაძის სახელობის მეტალურგიის ინსტიტუტი; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ლითონების წნევით დამუშავების კათედრა.

უჩვენებს თბილისი

ეთერში საქართველო

შაბათი

20 თებერვალი

10.05 — „ბასტი-ბუბუს" აერობიკა. 10.10 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 10.50 — მხატვრული ფილმი „სპასისა და ნელის თავგადასავალი". 12.00 — მაცნე — საინფორმაციო პროგრამა. 12.15 — „დრონი მეფობენ" — სატელევიზიო პროგრამა. 15.15 — ვესტნიკი — საინფორმაციო პროგრამა. 16.00 — „სოფლის ჭირსა...". 16.50 — განცხადებები. 17.00 — მაცნე — საინფორმაციო პროგრამა. 17.15 — „გლობუსი". 18.05 — მე, შენ, ჩვენ — სამედიცინო შემეცნებითი პროგრამა ოჯახისათვის. 18.55 — ჰუმანიტარულ დახმარებაზე და ჩვენზე... 19.40 — მულტიპლიკაციური ფილმი. 19.55 — რეკლამა. 20.00 — მაცნე — საინფორმაციო პროგრამა. 20.35 — ანარეკლი — სატელევიზიო პროგრამა. 21.35 — საქართველოს ჩემპიონატი კალათბურთში ვაჟთა გუნდებს შორის. 22.00 — მაცნე — საინფორმაციო პროგრამა. 22.15 — საერთაშორისო ტურნირი ძიუ-დოში. 22.45 — ილუზიონი. 0.15 — ქვიშის საათი — საინფორმაციო პროგრამა.

კვირა

21 თებერვალი

9.55 — „ბასტი-ბუბუს" აერობიკა. 10.00 — ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი „პრინცესა მთვარიდან". 12.00 — მაცნე — საინფორმაციო პროგრამა. 12.15 — საკვირაო გამოფენა. 12.20 — ქართული ხალხური სიმღერის გაკვეთილი. 12.55 — საკვირაო გამოფენა. 13.00 — მხატვრის სახელოსნოში. 13.30 — საკვირაო გამოფენა. 13.35 — ცეკვავენ მესხები. 14.15 — საკვირაო გამოფენა. 14.25 — ჭიდაობის სკოლა. 15.00 — ხელოვნების ლექტორიუმი. 15.30 — მიწა ილვიძებს... 15.55 — ლიტერატურული თეატრი „ეშმაკის ქვა". 16.15 — თბილისი და თბილისელები — სატელევიზიო პროგრამა. 17.00 — მაცნე — საინფორმაციო პროგრამა. 17.15 — ირაო. 17.30 — რაკურსი. 18.05 — საქართველოს ჩემპიონატი კალათბურთში. 18.45 — კვირიდან კვირამდე — საერთაშორისო მიმოხილვა. 19.25 — შეხვედრა კომპოზიტორთან — ვაჟა აზარაშვილი. 20.55 — რეკლამა. 21.00 — მზგეფსი — საინფორმაციო პროგრამა. 22.00 — მხატვრული ფილმი „შავი თვალები". 23.55 — ქვიშის საათი — საინფორმაციო პროგრამა.

ორშაბათი

22 თებერვალი

7.30 — ალიონი — საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 13.00 — ნაშუადღევს — საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 17.00 — ვესტნიკი — საინფორმაციო პროგრამა. 17.15 — ბავშვებისათვის — ქართული მხატვრული ფილმი „ფარანი ქარში". 18.20 — მოსწავლეთათვის — თეატრი და ბავშვები. 18.55 — ანძა — ტელემარკეტინგი. 19.05 — მეწარმეობა, პერსპექტივები... 19.40 — რამპა. 19.45 — ბავშვებისათვის — მულტიპლიკაციური ფილმი. 19.55 — რეკლამა. 20.00 — მაცნე — საინფორმაციო პროგრამა. 20.35 — ეკონომიკური რეფორმა და ახალი აზროვნება. 21.20 — ოთარ თაქთაქიშვილის კონცერტი ვიოლინოსა და ორკესტრისათვის. 21.00 — მაცნე — საინფორმაციო პროგრამა. 22.15 — ხიდი. 22.50 — ქართული მხატვრული ფილმი „უცარუცარე". 0.15 — ქვიშის საათი — საინფორმაციო პროგრამა.



სამშაბათი

23 თებერვალი

7.30 — გამარჯობა, საქართველო! — საინფორმაციო-შემეცნებითი პროგრამა. 13.00 — ნაშუადღევს — საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 13.45 — ტელემარკეტინგი. 17.00 — მაცნე — საინფორმაციო პროგრამა. 17.15 — ბავშვებისათვის — ქართული მხატვრული ფილმი „მეტიჩარა". 18.40 — განცხადებები. 18.45 — ადამიანი და კანონი — სატელევიზიო პროგრამა. 19.15 — დებიუტი. 19.40 — ბავშვებისათვის — მულტიპლიკაციური ფილმი. 19.50 — რეკლამა. 20.00 — მაცნე — საინფორმაციო პროგრამა. 20.35 — ბიზნესკურიერი. 20.55 — საქართველოს ჩემპიონატი კალათბურთში (ვაჟები). 21.45 — ინტერვიუ აფხაზეთის განათლების მინისტრთან ჟანო ჯანელიძესთან. 22:00 — მაცნე — საინფორმაციო პროგრამა. 22.15 — გიორგი გეგეჭკორი 70 წლისაა. 23.50 — ქვიშის საათი — საინფორმაციო პროგრამა.

გაერთიანება კონსორციუმი „ქართლი" მომხმარებელს სთავაზობს შეღავათიან ფასად იმპორტულ კარტოფილს (45-55 მანეთი).

მსურველებმა მიმართეთ მისამართზე: ელიავას ქუჩა № 32 (დიდუბე, სახელმწიფო რეზერვების საწყობი).

ტელ.: 99-58-07 ან 99-50-09.

მთავარი რედაქტორი ზურაბ ბოგიაშვილი.

მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29.
ტელეფონი — 34-73-45.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0466.

SAKARTVELOS RESPUBLIKA
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА

13
1